



# ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვდუდუნებ  
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 25

მკათათვე 2012

## 6 ივლისი — ნალენჯის ტრაგედიის 20 წლისთავი! ნალენჯის საქართველოს სიმბოლოა!

ზვიად გამსახურდია




ნალენჯის, 1992 წლის 6 ივლისის ავტობომის ალიონი... ეროვნული  
კალაპისა და „მხედრონის“ შტაბაკების მთავარი არენა —  
დაზარალებული ნალენჯისის სკოლა-ინტერნატი

### 6 ივლისს ნალენჯისის სკოლა-ინტერნატი დაბანაკებულ დამსჯელ „მხედრონელთა“ რაზმთან ბრძოლაში დაიღუპნენ:

გაბედავა პავლუშა გრიგოლის ძე, 41 წ. (ზუგდიდი)  
დარსანია როინ ხუბუტის ძე, 33 წ. (ზუგდიდი)  
კარტოზია ჯემალ ნაპოლეონის ძე, 43 წ. (ზუგდიდი)  
ლომია გოჩა ანზორის ძე, 28 წ. (ზუგდიდი)  
ქანთარია ვახტანგ პეტრეს ძე, 36 წ. (ზუგდიდი)  
ლვინჯილია გულად პარტენის ძე, 38 წ. (ნალენჯისა)  
შენგელია ბიჭა ილიკოს ძე, 35 წ. (ზუგდიდი)  
შონია ონისე ვაჟას ძე, 24 წ. (ზუგდიდი)  
ძვებავა ნუგზარ რუბენის ძე, 45 წ. (ნალენჯისა)



გულად ლვინჯილია



ნუგზარ ძვებავა



პავლუშა გაბედავა



როინ დარსანია



ჯემალ კარტოზია



ონისე შონია



ვახტანგ ქანთარია



გოჩა ლომია



ბიჭა შენგელია

### 6 ივლისის ტრაგედიის დღეებში „მხედრონელებმა“ ნალენჯისში სადისტური წამებით მოკლეს რაიონის მშვიდობიანი მცხოვრებლები, სრულიად უდანაშაულო ადამიანები:


ზარქუა ზაურ ვალიკოს ძე, 46 წ.  
კვარაცხელია მერაბ აკაკის ძე, 31 წ.

მიქავა მურთაზ ალიოშას ძე, 37 წ.  
ფიფია გურამ მაშას ძე, 44 წ.

ლვინჯილია რენო აქვსენტის ძე, 55 წ.  
ძიძარია გუგუ სამსონის ძე, 62 წ.



გურამ ფიფია



მურთაზ მიქავა



ზაურ ზარქუა



მერაბ კვარაცხელია



რენო ლვინჯილია



გუგუ ძიძარია

\*\*\*

6 ივლისს ნალენჯისში მოხდა დიდი ტრაგედია — გაჩაღდა ძმთამკვლელი ბრძოლა ეროვნული ხელისუფლების ერთგულ გვარდიელთა და საქსახსაბჭოს მიერ მათ გასანადგურებლად გამოგზავნილ „მხედრონელებს“ შორის. ეს ბრძოლა კანონიერი ხელისუფლების გვარდიელთა უკანდახევით დამთავრდა, მაგრამ „მხედრონმა“ სწორედ აქ წაიტეხა ფეხი. არაზუსტი ცნობებით ბრძოლას ორმოცზე მეტი „მხედრონელი“ და მათი ბანდის მხარდამჭერი ემსხვერპლა, თუმცა ოფიციალურად ბევრად ნაკლები იყო დასახელებული.

ნალენჯისის სკოლა-ინტერნატი დაბანაკებულ „მხედრონელებზე“ შეტევისას დაიღუპნენ კანონიერი ხელისუფლების გვარდიელები: გულად ლვინჯილია, პავლუშა გაბედავა, ვახტანგ ქანთარია, ბიჭა შენგელია, ონისე შონია. მათ ჭეშმარიტად გამირული სულიკვებება გამოავლინეს: გასწირეს თავი ეროვნული ინტერესებისთვის.

შემდეგ დაიწყო სადისტური ხოცვა-ჟლეტა, როგორც ტყვედგარდნილ მებრძოლთა ისე, მშვიდობიანი მოსახლეებისა. საშინელი წამებით მოჰკლეს ბრძოლის მონაწილენი: გოჩა ლომია, როინ დარსანია, ჯემალ კარტოზია, ნუგზარ ძვებავა, — ნალენჯისელი მშვიდობიანი მცხოვრებლები: მურთაზ მიქავა, გურამ ფიფია, ზაურ ზარქუა, მერაბ კვარაცხელია. საკუთარი სახლის აივანზე სწაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა რენო ლვინჯილია, ძარცვისას შემოაკვდათ გუგუ ძიძარია.

ის, რაც ნალენჯისში მოხდა, მთელი ერისთვის თავზარდამცემია საზოგადოების ერთი ნაწილის უკიდურესი დაცემისა და ზნეობრივი გათასხირების გამო, რასაც მოჰყვა კიდევ უფრო დიდი ტრაგედიები.

\*\*\*

ისინი იბრძოდნენ, რადგან ვერ იგუეს უსამართლობა, დამცირება, ბოროტების სიკეთეზე ზეობა. — იბრძოდნენ, რადგან სურდათ ეცხოვრათ ჭეშმარიტად დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში. ისინი დაიღუპნენ, რადგან უკან დახევა არ სჩვეოდათ, ვაჟკაცები იყვნენ და სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ.

### 6 ივლისი

ვაი ნანა! — რისი ხმაა  
ლაკადას რომ აზანზარებს?!  
ჭილყვავები მოფრენილან —  
ნაბილნავენ დედოზარებს!  
ვაი ნანა! — განთიადი  
შეიღება სისხლით ძმათა,  
ქვაზე გდია მზეჭაბუკი  
სისხლდაქცეულ ჭანისწყალთან.  
ვაი ნანა! — ივლისის მზე  
ველარ ათბობს სხეულთ ყრმათა,  
აქ კოლხეთის თბილი გული  
დაისერა, დაიშანთა.  
ვაი ნანა! — იმერ-ამერ  
გამყინავი მოდის ხმანი...  
ეს მოზარე დედებია  
ვეფხვისა და მოყმისანი.

ირინე ოდიშარი

### 6 ივლისი

ცა ნატყვიარი და დაფლეთილი,  
ცრემლები... სისხლი... ტანჯვა და გვემა:  
მკერდში დაჭრილი მწყემსი კეთილი  
და ჩაფერვლილი კოლხთ დიადემა...  
წლები მიჰქრიათ, ვითარცა ქარი,  
ჯიხას ჭრილობა განა მოურჩა.  
„მაცხოვარიდან“ კვლავ ისმის ზარი,  
გვამებს ვერ ითვისოს სოხუმის ქუჩა.  
აქ სათარეშო ჰქონიათ ქურდებს,  
ჩამოაბნეულს ზეციდან მნათი;  
„მხედრონელთა“ შავბნელი ბუდე,  
აჩონჩხილია დღეს ინტერნატი...  
ამ ტრაგედიას დასტორის ხალხი,  
დრომან ტკივილი ვერ გააყუჩა,  
ვერ მოიცოლა მწუხრისა თალხი  
ნაგრიგალარმა გრანელის ქუჩამ.  
ლაკადის მინა მათ იავარქმნეს,  
ეს „მეთაურებს“ ასე აწყობდათ  
და მაცხოვარის ტაძარიც წარყენეს,  
გადააქციეს მკვდართა საწყობად...  
ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის,  
კვლავ საბრძოლველად შემდგარა ჯიხა:  
რამდენი სისხლი დაღვარე ივლისს  
გაუტეხელო, შენ, ნალენჯისა!  
ქუჩებს მავალი ეს სისხლის წყარო  
ნახელავია ბოროტ ყაენის;  
დაატრიალა მან ცოდვის კალო  
და ალაზევა სული კაენის...  
მე ამიტომაც ვისენებ ისევ  
იმ ტკივილიან, სისხლიან ივლისს;  
და ტრაგედიას არ დაივიწყებს  
თაობა, სანამ ამქვეყნად ივლის!

ვალერი ძაძამია

### მოედინება სისხლის მდინარე

დღეს სატირალი უფრო მეტია,  
ვინემ ყოფილა თუნდაც ოდესღაც,  
როცა ქართველი ქართველთ მტერია  
და ძმის საკლავად ხმალი მოლესა.  
დაჭრილ გულიდან სისხლი თქრიალებს,  
რად ჩასცა ძმას ძმამ მტრულად მახვილი,  
მოედინება სისხლის მდინარე —  
ნეტავ მტრისაგან იყოს დაღვრილი...  
სჯობდა მოეკლა სპარსელს, ან მონღოლს,  
მტერი ბევრია — ველარც დაითვლი,  
არ ყოფილიყო ქართველი ოლონდ —  
ჯიში ცოტნეს და ჯიში დავითის.  
თუმცა ორგულთა დღე არის მოკლე,  
ახლა დრაკონის მსგავსად რომ ბორგავს  
და რომ შეეძლოს მამულსაც მოკლავს  
ილიას მკვლელთა ურჯულ მოდგმა,  
იმუქრებიან ფეხქვეშ გათელვით,  
ანყობენ უფრო სასტიკ ბაზალეთს,  
სჯობს მამაცურად მოკვდეს ქართველი —  
ვიდრე სამშობლოს მტრებთან დაზავდეს!  
დაჭრილ მკერდიდან სისხლი თქრიალებს,  
ვინ ჩასცა მამულს მტრულად მახვილი,  
მოედინება სისხლის მდინარე —  
ნეტამც მტრისაგან იყოს დაღვრილი!..

რინოს კვარაცხელია

# ცოდვის კალო სამებრელოში

3 ატარა ქალაქ წალენჯიხას მარად სამ-წუხარო მოგონებად დარჩება ოცი წლის წინანდელი სისხლიანი ბრძოლა, ავადმოსაგონარი ის დღე და შემაზრზენი შემდგომი დღეებიც, დაპირისპირებულ ძალოთ ამ შეტაკებას რომ მოჰყვა.

1992 წლის 6 ივლისს წალენჯიხაში მომხდარი ტრაგედია არის უკანონო ხელისუფლებისა და დაქირავებული კრიმინალური ბანდების მიერ თავისივე ხალხისადმი მტრობის უსაზიზღრესი მაგალითი, როცა 30 ვერცხლის საფასურად ქართველი ქართველს შინ ეჭრება გასანადგურებლად და მერე გასაოცარი სისასტიკით უსწორდება უდანაშაულო ადამიანებსაც, კლავს, ძარცვავს, უკიდურესად შეურაცხყოფს თავისტომს.

არც ისტორიის ფოლიანტებს შემოუნახავს მსგავსი რამ, არც უცხოელ დამპყრობებთან შეხვედრის ან კუთხის მცხოვრებით ამგვარი დამცირება და ანიოკება აქ გამოუმჯღავნდა რენეგატთა და კოლაბორაციონისტთა საზარელი რაობა, ნიღბოსან ცრუდემოკრატთა ვერაგობა და დაუნდობლობა... მათ, პირველად ყველაზე მეტად წალენჯიხაში დააკნინეს, შერყვნეს საქართველოსა და ქართველობის მცნებები.

ივლისის ის დღეები ფაქტობრივად მთლიანად სამეგრელოს ცრემლიანი დღეებია, იმ დიდი ვარამისა და სატყვივარის გახსენებაა, მოუშუშებელ ჭრილობად რომ დაჩანდა ამ კუთხის მცხოვრების გულს და რისი გახსენებაც უთუოდ საჭიროა მთელი ჩვენი ქვეყნის სამომავლოდ.

1991-92 წლების სამხედრო კრიმინალური გადატრიალების შედეგად, ეროვნული ხელისუფლების ქართველების ხელითვე დამხობას, როგორც მოსალოდნელი იყო, ასევე წარმოუდგენელი უბედურებანი მოჰყვა, რომელთა შორის სამეგრელოში დამსჯელი ეგზეკუციების, ანუ კრიმინალთა ბანდების მრავალგზის თარეშის საშინელებანი განსაკუთრებულია. საქართველოს დღევანდელ ყველაზე დიდ ტრაგედიას, აფხაზეთის დაკარგვასა და იქიდან ქართული მოსახლეობის დეპორტაციას სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი.

რისთვის და რატომ სჯიდნენ ცრუდემოკრატები სამეგრელოს მოსახლეობას?! (დასჯა სხვადასხვა ფორმით დიდხანს გაგრძელდა!) — სჯიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სამეგრელოს მოსახლეობის უმეტესობამ გამოავლინა სამშობლოს სიყვარული, ჭეშმარიტი ეროვნული შეგნება, მაღალზნებრივი თვისებები და შეწინააღმდეგა ქვეყნის კვლევა იმპერიის შემადგენლობაში მებრუნების მსურველთ, სჯიდნენ, რადგან უერთგულა ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, შეიფარა დევნილი, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები. სამეგრელოს მცხოვრებთა უმეტესობა მოიტყა ისე, როგორც ეს მართალ, პატიოსან ადამიანებს შეეძენით. მერე, ძალადობით დაკანონებული ხელისუფლების ვითომც მართლმსაჯულების მსახურნიც კი იძულებულნი გახდნენ, საჯაროდ ელარებინათ, რომ 1992 წლის 12 ოქტომბრამდე კანონიერი ხელისუფლების დაცვა მართებული იყო. ცხადია, კანონიერი ხელისუფლების დაცვა მართებული იყო და არის დღესაც. ამიტომაც, თბილისის წინაშე კიდევ უფრო გაბითურდებინა ისინი, ბოროტების იმპერიის შეკვეთას რომ ასრულებდნენ, სამშობლოსა და კანონიერების სიყვარულს რომ უკრძალავდნენ მოძმეთ. მით უმეტეს საწყევარნი და შესაჩვენებელი არიან საქართველოს ის ხელისუფალნი, რომლებმაც ათასობით ბოროტმოქმედთა, საპატიმროებიდან გამოყრილ დამნაშავეთა ბრბოების ბინძური ვნებების ასპარეზად აქცია სამეგრელო და მთელი საქართველოც.

სამეგრელოს მასსოვრობას სამუდამოდ შემორჩება, რამდენჯერმე როგორ იქნა „აღებული“ აბაშა, სენაკი, ხობი, ფოთი, ზუგდიდი, მარტვილი, ჩხორონწყუ, წალენჯიხა და ყოველ ასეთ „აღებას“ როგორი გამოგებელი მსუხარება მოჰქონდა.

სამეგრელოს შავი დღეები მცხეთის რაიონის სოფელ ალაიანში დაიწყო. თუმცა მანამდეც მთავრობის სახლთან რუსთაველის პროსპექტიც შეიღება პირველი პრეზიდენტის ერთგული მრავალი კოლხი ვაჟკაცის სისხლით, მაგრამ იქ მაინც უმეტესად

ორმხრივი ბრძოლები მიმდინარეობდა, ალაიანთან 7 იანვარს ჩასაფრება და შინ მიმავალი ზუგდიდის ბატალიონის წევრთა და სხვათა ამოხოცვა კი სამოქალაქო დაპირისპირების ძალზე ვერაგული გამწვავება იყო, რასაც ომის კანონებთანაც არავითარი გამართლება არ ჰქონდა ისევე, როგორც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს — ნარკომან ნაძირალთა ბანდების გაგზავნას სამეგრელოში.

ალაიანთან დაღუპული ზუგდიდელი შესანიშნავი ვაჟკაცების — ვახტანგ და ნიკოლოზ თორდების გლოვის დღეები დამთავრებულიც არ იყო, როცა სოფელ ცაიშს მიადგნენ რუსეთის იმპერიისგან შეიარაღებული უკანონო ხუნტის საბრძოლო შენაერთები და იანვრის ბოლოს დროებით წინააღმდეგობა სისხლში ჩაახშვეს. ეროვნული ხელისუფლებისა და მშობლიური კუთხის გმირულად დამცველებს იარაღი არა ჰქონდათ და რაზეც ხელი მიუწვდებოდათ, იმით უწევდნენ წინააღმდეგობას,



წალენჯიხის ტრაგედიის წლისთავის სამგლოვიარო მანიფესტაცია

რადგან იცოდნენ, მოდიოდნენ კრიმინალები: მკვლელები, ყაჩაღები, „ნასედკები“, „ობიჟნიკები“, ისეთი ნაძირალები, საკუთარი დის გაუპატიურებისთვის რომ იხდინდნენ სასჯელს. მოძალადე სისხლიანმა ხელისუფლებამ სწორედ ეროვნულ გვარდიასთან საბრძოლველად აუთო მათ მწვანე სინათლე — საპატიმროდან გაანთავისუფლეს 4 ათასზე მეტი კაცი, რომელთა დიდი უმეტესობა ნარკომანი იყო. მათ განუსაზღვრელი უფლებები მიეცათ. მკვლელთა და ყაჩაღთა უსინდისობანდებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით. მომხდურნი ტყვედ ჩავარდნილებსაც ხვრეტდნენ. ცაიშთან მდგარი წალენჯიხის მცხოვრები გიგანტი დგებუაჟი, 35 წლის ვაჟკაცი, ორი შვილის მამა მიხვდა, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანით ტანკებისა და ნაღმსატყორცებისაგან ვერ დაიცავდა ეროვნულ ხელისუფლებას, მშობლიურ კუთხეს, ამიტომაც იგი უბრძოლველად დანებდა, მაგრამ ხელანულო ახალგაზრდა კაცი ავტომატის ჯერით მოცულეს. ასევე, პირველსავე შეტაკებებში დაიღუპნენ ზუგდიდელი ვაჟკაცები გია ჭაბუა, ვახტანგ ჯოჯუა, პაპუნა თოდუა, მამუკა ცხადია, გოდერძი გოგია, ზვიად წურნუშია, კახა მიქავა, თეიმურაზ მესხია, გია შედანი, რომან კორკელია და სხვები, რაც დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის მიზეზი გახდა. სულ 70-ზე მეტი ზუგდიდელი შეენირა სამოქალაქო დაპირისპირებას... სამეგრელოში კი — 300-ზე მეტი. ცხადია, ყველას ვერ ჩამოვთვლით.

მხოლოდ ჩვენითვის კარგად ცნობილი ფაქტებით შემოვიფარგლებით.

ზუგდიდში 21 თებერვალს მომხდურთა ერთ-ერთი საგუმბაოდან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ესროლეს და საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს რუსეთიდან შინ მომავალი წალენჯიხელი ახალგაზრდა სულხან სარია, იქვე მოკლეს ამ საშინელი ფაქტის გამო საყვედურის გამოძქმელი ზუგდიდელი ტაქსის მძღოლი ლადო ესართია.

25 თებერვალს ზუგდიდის კინოთეატრთან, დედის თავგანწირული მუდარის მიუხედავად გვარდიელმა ვახტანგ გიორგაძემ

მოკლა სრულიად უდანაშაულო, ნიჭიერი ახალგაზრდა არქიტექტორი გოჩა ჯიქია, შემდეგ მანვე იქვე უმიზეზოდ მოკლა ქუჩაში მიმავალი ენუქი შონია. ეს გარენარი მკვლელი იკვებხნდა თურმე: მე — 18 მეგრელი მოვკალი.

თებერვალშივე, ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩაზე უმიზეზოდ გამოედევნენ ჩხორონწყულ 19 წლის გია ბერულავას და ხელანულო ყმანვილი დაცხრილეს.

თებერვალშივე ჩხორონწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში მხედრონელები გასაძარცვავად შინ მიეჭრნენ აბო გულუას. მათ დააპირეს აბოს 14 წლის ქალიშვილის გაუპატიურება. გამწვავებულმა მამამ იხსნა ქალიშვილი, იგი ნაძირალებს შეებრძოლა და იქვე დაცხრილეს ავტომატის ჯერით...

თებერვალშივე შინისკენ მიმავალ უწყინარ აბაშელ ჭაბუკს, ელვარდი ჭკადუას 18 ტყვია მიაყარეს იმის გამო, რომ ასანთი არა ჰქონდა.

მარტვი ქ. სენაკის ერთ-ერთ მიტინგზე

შიგ გულში ესროლეს ტყვია ორი შვილის მამას, ავთანდილ ელიავას.

მარტვი სოფელ რუსში საკუთარი სახლის ეზოს ჭიშკართან მოკლეს ფეხმძიმე ქალი ნინო ვლადიმერის ასული ფუტკარაძე-ვირცხალავა.

3 აპრილს აბაშასთან სამთავრობო შენაერთების 26-მა ჯავშანტრანსპორტორმა გადაუარა გზაზე მდგარ მსუბუქ ავტომობილს და შიგ ჩაჭყყა 17 წლის კუსო ოდიშარია.

6 აპრილს ვერტმფრენიდან ნასროლი ტყვიებით წალენჯიხაში მოკლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი მდივანი ლალი მაისურაძე.

აპრილშივე წალენჯიხის რაიონში ტანკებით გადაუარეს და მიწასთან გაასწორეს კურორტი სქური, რადგან იქ მანამდე ეროვნული გვარდიის მებრძოლები აფარდებდნენ თავს.

აპრილშივე გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში კოოპერატორ ზაურ შელიას ოჯახს. მისმა მეუღლემ, მიძიზა ჯანაშია-შელიამ, ორი შვილის დედა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ავტომატის ჯერით დაცხრილეს.

7 აპრილს, ხარება დღეს მხედრონელებმა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში მდინარე ჭანისწყალზე მოთევზავე ხუთი ყმანვილი ბიჭი შეიპყრეს. თევზებს ალბათ ზვიადისტებისათვის იჭერთა და ისე დაუზოგავად სცემეს, ძვალ-რბილი გაუერთინეს, ერთი მათგანი ავტომატის ტყვიით ფეხში დაჭრეს, მერე ყველანი თავდაღამ გაანვიინეს და რადგან დაჭრილმა მათი „ფაქიზი“ ყურთასმენა კვნესით შეაწუხა, სპილოდნობებულმა მხედრონელმა დაჭრილს თავზე დააშარდა.

იმ დღეებში იმავე სოფელში ერთმა მხედრონელმა 19 წლის ჭაბუკს ჯიბეში რევოლვერი ჩაუჩურთა და გაისროლა — მეგრელები არ უნდა გამრავლდეთო. ერთმაც 18 წლის ბიჭს გაუპატიურება მოუწოდო: თქვენ ეს დაიმსახურეთო.

იმავე პერიოდში ზუგდიდში ე.წ. საჯვარო გადასახვევთან, მხედრონელებმა ტრანსპორტის მომლოდინე ქალების გაუპატიუ-

რება მოინდომეს. იქვე მდგომმა კაცებმა დაიცვეს ქალების ღირსება, რის შემდეგ მათმა მეთაურმა ბრძანა: ქალებს შეეშვიტ და ეს მამაკაცები იხმარეთო! ყოველივე დამთავრდა კაცების დაუზოგავად, გონების დაკარგვამდე ცემით. ამის შემდეგ მოხდა მხედრონელებზე რამდენიმე თავდასხმა, ზუგდიდში.

ასეთი და სხვა არანაკლები, ზოგჯერაც გამოუმჯღავნებელი მრავალი ბოროტმოქმედება უძლოდა წინ წალენჯიხაში მომხდარ საუკუნის დანაშაულს — 6 ივლისის ტრაგედიას.

წალენჯიხის ტრაგედია დაიწყო საქსახ-საბჭოს სხდომაზე, როცა გადაწყდა, რომ თებერვალ-აპრილის სადამსჯელო ეგზეკუციების შემდეგ, ახლა უკვე მესამედ, ივლისში გამოეგზავნათ მხედრონელთა ძლიერი ძალა კანონიერი ხელისუფლების დამცველ გვარდიელთა, ანუ ზვიადისტთა გასანადგურებლად.

დაიძრნენ სამთავრობო ჯარის სტატუსით მხედრონელები თვითმფრინავებით, ტანკებით, ჯავშანტრანსპორტით, ქვემეხებით, ნაღმსატყორცებით, ტყვიამფრქვევებით, „მუხებით“ და ნაირგვარი ავტომატებით.

დაიძრნენ და შემოიჭრნენ ვითომდაც სამართლიანობისა და წესრიგის დასამყარებლად. თან მოაკლეს და „ელიტარული“ თბილისის ყიყინა: „კიდევ ერთხელ ჰკათ მაგათო!“ „ახლა კი უთუოდ დასამარეთო ხალხის არჩეული ხელისუფლება და კანონიერება საქართველოში!“ (ეს იყო ანალოგიური პარადოქსი, რომლის ანალოგია ალბათ არ არსებობს სხვა ერის ისტორიაში...)

4 ივლისს ორგანიზებულად შემოვიდნენ მხედრონელები ჩხორონწყულს წალენჯიხაში, იქ, სადაც მტრად მიჩნეული მოძმე უნდა გაემეტებინათ გასანადგურებლად. „პროფილაქტიკური“ მიზნით თვითმფრინავებით წინასწარ დაბომბეს წალენჯიხის სოფლების: მედანისა და ჯგალის შემოგარენი, რამაც შინაური პირუტყვის დიდი ზარალი გამოიწვია! იმავე დღეს დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, ავტომატ-ქანებზე „კონტროლი“ და მათი წართმევა, ბილწი გინება, უხეში მუქარა, რაც შემდგომში „გადაჭარბებით“ შესრულდა.

დამხდურის მოთმინების ფიალა უკვე ავსებული იყო... 6 ივლისს მარადუქმს მშვიდობისმოყვარე, პურ-მარლით ნაქები წალენჯიხა ძმათამკველეობის არენად იქცა. ეჭვგარეშეა, რომ ამ დღეს მხედრონელთა და მათი თანმხლები მხარდამჭერების მსხვერპლი ბევრად მეტი იყო, ვიდრე ოფიციალური მონაცემებით აღინიშნა. კანონიერების დამცველთაგან კი ბრძოლაში დაიღუპნენ: გაბედავა პავლუშა, ქანთარია ვახტანგი, ღვინჯილია გულადი, შენგელია ბიჭა, შონია ონისე. მხედრონელებმა ტყვედ ჩაიგდეს და წამებით მოკლეს მებრძოლები: დარსანია როინი, კარტოზია ჯემალი, ლომია გოჩა, ძვაბავა ნუგზარი. იმ დღეებში მომხდურებმა სადისტურად გამოასალმეს სიცოცხლეს სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი მცხოვრებლები: ზარქუა ზაური, კვარაცხელია მერაბი, მიქავა მურთაზი, ფიფია გურამი. მხედრონელთა არაადამიანობამ საკუთარ სახლში იმსხვერპლა ღვინჯილია რენო და ძიძარია გუგუ. დააპატიმრეს, თბილისში წაიყვანეს და იქ დაუზოგავად სცემეს, შეურაცხვეს ორი შვილის მამა, უდანაშაულო ოთარ კალანდია, რომელმაც განთავისუფლების-თანავე თავი მოიკლა.

თუ როგორ იბრძოდნენ წალენჯიხაში ეროვნული პოზიციების დამცველები, ე.წ. ზვიადისტები ამის შესახებ მოწინააღმდეგე მხარესაც მოვუსმინოთ. აი, რას წერს ვინმე თამაზ ფანჩულიძე, ჯაბა იოსელიანის დაცვის უფროსი (გაზეთი „ახალი თაობა“, №338, 8 დეკემბერი, 1997 წ.);

„10 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა. მე ასეთი ომი აფხაზეთშიც არ მინახავს... რამდენჯერმე განახორციელეს იერიში და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მათში შთაბეჭდილება არავინებელ მდგომარეობაში იყო. ეს იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ღიად და ამკარად მოდიოდნენ...“

...ბრძოლის დროს ერთი დეტალი და-მამახსოვრდა განსაკუთრებით. თავიდან



გოჩა ციკლავა

ამან გამაოცა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო...

შემდეგ ასეც წერენ, მაგრამ ამგვარი გულწრფელობისაც როგორ უნდა გვეუბნებოდეს...

არასრული მონაცემების შესაბამისად, ამ პატარა რაიონიდან გაიტაცეს 300-მდე მსუბუქი ავტომობილი...

9 ივლისს, სალამოს ქ. ნალენჯიხის მოსახლეობის უმეტესობა გაიხიზნა...

1993 წელს, ამ ტრაგედიის წლისთავზე, ნალენჯიხაში გლოვის დღე გამოცხადდა...

გთავაზობთ ნაწყვეტს ეროვნული ხსნის სამეგრელოს რეგიონული კომიტეტის ქართველი ერისადმი მიმართვიდან...

„დაფიქსირებულია ბარბაროსობის უკიდურესად მძიმე ფაქტები — დაჭრილთა ტყვედ აყვანა და მათი ნამებით მოკვლა...

სახის დაჩხვლეტა და ა.შ. ბარბაროსები მშობლების თვალწინ კლავენ შვილებს, აუპატიურებენ ქალებს...

დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, მიაკვთ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლება...

ამ მიმართვაში არ წერია ის, რომ ღამით ადგილობრივ მცხოვრებთა ოჯახებს ძალადობით შეხიზნულნი...

ამ მიმართვაში არ არის ნახსენები ვიდუოფირი, რომელზეც ასახულია ნალენჯიხაში დასახიზრებული მეგრული ვაჟკაცები...

როგორ გინდა, ყოველივე ეს დაიწყებას მიეცეს?

ამიტომაც დანერა პოეტმა ენვერ ნიჟარადიმ ლექსი, სადაც ასეთი სტრიქონებია: „დადგება დრო და საქართველოს წინაშე კოლხთა მოუწევს...

არა თუ ბოდიშს არავინ იხდის, კვლავაც აგორდება ხოლმე ცილისწამებანი სამეგრელოს მიმართ.

ახლა კვლავ მივევთ მაშინდელი ბოროტმოქმედებების ფაქტებს:

1992 წლის ივლისის ბოლოს და აგვისტოს პირველ ნახევარში აფხაზეთში საშოვარზე მიმავალმა ე.წ. სამთავრობო ჯარებმა მეოთხედ, ხოლო აფხაზეთის სამარცხვინო ომის შემდეგ...

მოკლედ აღვწვსავთ იმ პერიოდებში მომხდარ ზოგიერთ საშინელ, უმსგავსო დანაშაულს:

ხობში ჯერ მკლავი მოჰკვეთეს ცნობილ მხატვარს ვახტანგ ნოდისა და შემდეგ ავტობატის ტყვიებით დაცხრილეს. ნოდის ნამება ვიდუკამერით გადაიღო ხუნტის-ტური ტელევიზიის ოპერატორმა ბოლქვაძემ...

ხობში საკუთარ სახლში მოკლეს ცნობილი ექიმი ეზოპე სიჭინავა.

ზუგდიდში შინ მიეჭრნენ ცნობილ სამეურნეო მუშაკს, რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზაურ თოდუას, იგი მოკლეს და შემდეგ მისი ოჯახიც გაძარცვეს.

სენაკში, ქუთაისის ომონის რაზმელებმა თავის სახლის წინ მდგარ გოგოს ხელი ჩაავლეს და გვერდზე გაყვანა მოუხდომეს. ქალიშვილს გამოეპარა მერაბ ხუხია, რომელიც იქვე დახვრიტეს.

სენაკში მშობიარე ქალს მხედრიონელები მუცელზე დაახტნენ — კიდევ ზვიანა დაიბადებო.

სენაკის რაიონის სოფელ ზანაში მოხდა გაუგონარი ბოროტმოქმედება, ჯუმბერ ჯალალონიას ოჯახი გაძარცვეს და თანაც შეაგინეს, ეს რა ღარბები ყოფილხართ, ალბათ ზვიანისტიები ხართ, თქვენ ასე და ისე... ჯალალონიამ მიუგო თურმე: მე იმის მომხრე ვარ, ვინც მართალი კაციაო. ამის თქმა და ტყვია ესროლეს, ჯერაც ცოცხალი კაცისთვის თანასოფლელებს სამარე გაათხრევინეს, რომ სუნთქავდა ისეთი კაცი შიგ ჩააგდეს და ჩაცხრილეს, მერე საფლავ-

ზე დააშარდეს, ზედ ღორი დააკლეს... იქვე შეწვეს მწვანეები და იქეიფეს... მათმა მეთაურმა ოჯახიდან გამოტანილი დიდი ყანწი წაიღო, აქაოდა მეყანწიშვილი ვარ გვარად და მეკუთვინისო. შემდგომში ამ ნათქვამით მიაგნეს მეყანწიშვილს და მან სენაკის საპატიმროში თავი ჩამოიხრჩო.

1993 წლის შემოდგომაზე თვითმფრინავით დაბომბეს მარტვილის ცენტრი, დაიღუპა 15 წლის კახა ბართია, ხოლო მეორე ყმანწილი სამუდამოდ დაინვალიდა.

მარტვილში ზვიანისტიებისთვის ცოცხლად დანვეს ნუკრი მალანია, დახვრიტეს დათო კეკუტია, ხოლო ლონერ ჯოჯუა მოკლეს იმის გამო, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას არ შეაგინა.

ხობში ცოცხლად გატყავება მოუხდომეს თენგიზ (კიროკი) ბულიას, რომელმაც არ შეაგინა პრეზიდენტ გამსახურდიას და პირიქით, უზურპატორ შევარდნაძეს ამოუტრიალა დედ-მამის სული. იგი სადისტიურად, ნამებით მოკლეს.

ხონში დააპატიმრეს ეროვნული გვარდიის მებრძოლები, ნალენჯიხელი რეზო (კორნელი) შანავა და ჩხორონყუელი მურთაზ ცირდავა. მათი ტყვედ აყვანა სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამითაც აჩვენეს. კორნელი შანავას ცოცხალს ნაუკიდეს წვერზე ცეცხლი. მერე ორივე დახვრიტეს, მათი დაკრძალვა აკრძალეს და ლია ცის ქვეშ დაგდებული ორივე გვამი გაიხრწნა.


1993 წლის ნოემბერში ნათესავთან ათევა და ღამეს ნალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის მცხოვრები გულადი კვარაცხელია, როცა მის მასპინძლებს თავს დაესხნენ სამთავრობო ჯარის ბანდიტები. მათ დიდ-პატარა დააჩოქეს, რათა ფული ან ოქრო-ვერცხლი გამოეძალათ. გულადი კვარაცხელიამ ოჯახის ამოიკვებებს სთხოვა; ბიჭები, შეეშით, ხომ ხედავთ, ღარიბები არიან და რა უნდა მოგცენო. შენ ვინ გკითხავს, ახლავე შენც ამათთან ერთად დაიჩოქეო, უბრძანეს გულადს. მან არ დაიჩოქა და ავტომატის ჯერი მიაყარეს. — ღმერთი ჩემს სიკვდილს არ გაპატიებთო, იბღავლა დაჭრილმა და მართლაც მისი მკვლეელი ბანდიტი ვალიგასოვი, რომელსაც ძარცვისა და მკვლელობისთვის მხოლოდ 4 წელი მიუსაჯეს, კოლონიაში პატიმრობის მესამე თვეში მოკლეს.

საქართველოში ახლა ყველა იცის, მხედრიონელებმა რაც ჩაიდინეს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში, სადაც მათ ცენტრალურ ქუჩაზე 29 სახლი დანვეს... სახლდამწვრებმა სამართალი დღემდე ვერ იპოვეს და ისევე „როგორც ნალენჯიხაში ათი წლის შემდეგაც დარჩელსა და ნალენჯიხაში დამწვარი სახლების უმეტესობა ალუდგენელია, ამ ვითომდაც მთავრობის დახმარება მიხერული.

რატომ მიიჩნის არაკაცებმა სამეგრელო და ზვიანისტიები დაბალ ლობედ? მახსოვს ტელევიზიით მეცხვარე გამოიყვანეს და ათქმევინეს: ზვიანისტიები ხომ ხალხი არ არის, ისინი უნდა განადგურდნენო! ერთი პერიოდი კი მოძალადე ხელისუფლებას „ზვიანისტის“ ცნება მეგრელთან ჰქონდა გათანაბრებული, რადგან გამსახურდია მეგრელი იყო.

ზვიად გამსახურდიას ქართველობას უწუნებდნენ და საერთოდ მეგრელს ქართველობას უწუნებდნენ თვით რენეგატები და კოლაბორაციონისტები, რომლებმაც ამდენი უბედურება მოუტანეს სამშობლოს, ამაზე დიდი სისაძაგლის წარმოდგენა ძნელია, პირადად, აქვე აღვნიშნავ, რომ საამაყოდ მიმანდა და მიმანია, რომ ვიყავი და ვარ ზვიანისტი და რომ ვარ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი კუთხის ღვიძლი შვილი.

სისხლიანი სამხედრო კრიმინალური გადატრიალების შედეგად იმდენი ბოროტმოქმედება მოხდა, იმდენი ადამიანი დაიღუპა, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ყოველივე ამის მეათედი ნაწილიც არ არის და ცხადია, ყველა ვერ მოვისხენებთ... ნალენჯიხის რაიონზე კი მსურს გავამახვილო ყურადღება, ნალენჯიხაში ამ პერიოდში სხვა ტრაგედიებიც მოხდა: მხედრიონელების ავკაცობის შედეგად დაიღუპა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსი გულადი გაბელია, გარეწარმა ბანდიტმა ტყვიით მოკლა მეათე კლასის მოსწავლე, 15 წლის ლევან ქირია, გზაში ჩასაფრებულთა ტყვიამ იმსხვერპლა სამთავრობო ჯარის გვარდიელი, 18 წლის ახალგაზრდა, ნალენჯიხელი ჯონი შანავა, ასევე ჩასაფრებულთა ტყვიამ იმსხვერპლა რაიონული მილიციის უფროსი გოგი კალანდია, მილიციის თანამშრომლები ჯამბულ თოლორდავა, ჯემალ



აკაკი ელიავა

გელანტია და ნალენჯიხელი მოქალაქე რეზო ხარჩილავა.

შევარდნაძის შემზარავმა რეჟიმმა იმ წლების შემდეგაც გააუფასურა ადამიანის სიცოცხლე, დაუფლობის სინდრომმა გაათამამა იარაღიანი ხალხი და სამწუხაროდ, მათ შორის პოლიციელებიც.

ყალბი არჩევნებით „გალეგიტიმირებულმა“ და ახალი, 1995 წლის გასაყალბებელი საპარლამენტო არჩევნების წინ, სასაფლავოს მსგავსი „სტაბილიზაციის“ მოშურნე ხელისუფლებამ „ნესრიგის დამცველებს“ ეროვნული სულის დასათრგუნად, ზუგდიდში ჩაადენინა ამაზრზენი ბოროტმოქმედება. მათ სოფელ ორსანტისის უამრავი მცხოვრების თვალწინ ვერაგულად მოკლეს ეროვნული გვარდიის სახელოვანი ჯარისკაცი ზაზა პერტახია და დააბრალეს, ხელში ხელყუმბარა ეჭირაო, რომელიც ვითომც აღმოაჩინეს მკვლელობიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ.

1998 წელს ასევე ვერაგულად, ზურგში ნასროლი ტყვიით მოკლეს გმირული სულის უბადლო ვაჟკაცი გოჩა ციკლავა და დააბრალეს, ვითომც ტყვიას ესროდა მოალყუთ. რამდენიმე წლის შემდეგ ზესტაფონის პოლიციის განყოფილებაში საჯაროდ დახვრიტეს ქედუხრელი აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა, თითქოს მათ პოლიციის უფროსის ტყვედ აყვანა მოსურვებოდათ.

სამეგრელოში არიან მშობლები, რომლებმაც სამოქალაქო დაპირისპირებისას ორ-ორი ვაჟკაცი დაკარგეს. თითქმის ყველა ეროვნული მოღვაწე იცნობს ბატონ სერგო ციკლავას და ქალბატონ მერი ჩაგუნავა-ციკლავას, გია და გოჩას დედ-მამას, ღირსეულ ქართველებს, ასევე ორი შესანიშნავი ვაჟკაცი, თემური და კახა, დაკარგეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის მცხოვრებმა უტა და ციალა ვანაძეებმა, ამ პერიოდში დაიღუპნენ ძმები რობერტ და რომან ბენდელიანები, ძმები გურამ და ედემ ბალიშვილები.

ვინ არ დაუმწუხრებია ქალბატონ თამარ შერაზაძისთვის და ბატონ ჭიჭიკო ვიქიას უბედურებას, ერთადერთი ვაჟკაცი, გოჩა უმიზნოდ, გაუგონარი სისასტიკით რომ მოუკლეს.

რისთვის მოხდა ყოველივე ეს, რაც აქ ჩამოვთვალეთ და კიდევ უამრავი სხვა ბოროტმოქმედება, ჩადენილი პუტრისტური ხელისუფლების მიერ. აქ, ამ ჩამონათვალშიც კი არა ჩანს მისი უმსგავსო მახინჯი სახე, რის დახატვასაც მართლაც დიდოსტატური ფუნჯი და კალამი სჭირდება.

სამეგრელოში და კერძოდ, ნალენჯიხაში მომხდარმა გაუგონარმა დანაშაულობებმა და ხუნტის ჯარების უმსგავსობაში გაურკვევლობამ გარკვეულწილად განაპირობა სამეგრელოს მოსახლეობის ყურადღების მოდუნება აფხაზეთის ომისადმი და საბოლოოდ აფხაზეთის ადვილად დაკარგვაც. ეს უკვე კიდევ უფრო დიდი ტრაგიკული მოვლენების თემაა.


P.S. დღევანდლობის გადასახედიდან თვალსაჩინოა, რომ 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამოავლინოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, კანონიერებისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა სსოვნისადმი პატივისცემა სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობის განამამტკიცებელია, ხოლო რეპრესიის მსხვერპლთა ოჯახებისადმი მორალური და მატერიალური თანადგომა ჩვენი საერთო მოვალეობაა!

თაბაზ ზიფია. 2002-2012 წწ.





# ისინი ბოროტებასთან ბრძოლაში დაიღუპნენ



გულად ღვინჯილია

## უსამართლობასთან შეურიგებაელი

გულადი ღვინჯილია ნამდვილი ვაჟკაცი იყო, მოყვასთან ერთიერთობაში თავმდაბალი, გულთბილი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, საქმეში უკანდაუხეველი და მიზანსწრაფული, ბოროტთან შემართებული და პირდაპირი, უამრავი მეგობარი ჰყავდა. სასწრაფო დახმარების მანქანაზე მუშაობდა. ავადმყოფისა და გაჭირვებულის დასახმარებლად მზად იყო, თვითონაც განსაცდელს შეგებებოდა, ოღონდ კი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა.

ამის ერთი მაგალითი უნდა გავიხსენოთ:

ამ წლინახევრის წინ მძიმე ავადმყოფი იყო ნასაყვანი თბილისში. სიკვდილს-სიცოცხლის ამბავი წყდებოდა. იმ პერიოდში დიდთოვლობისა და მკაცრი ზამთრის გამო მანქანით მიმოსვლა ძნელდებოდა. თანაც, იკეტებოდა ხოლმე მოყინული გზა რიკოთის უღელტეხილზე და მძღოლთან ყველა უარს ამბობდა ასეთ პირობებში მანქანის წაყვანაზე, — ავადმყოფთან ერთად საფრთხეში ვარდებოდნენ გამყოფნიც და მძღოლნიც.

— მხოლოდ მე შევძლებ ნასვლას, — თქვა მამინ გულადიმ. — ჩემსავით იმ ყინულიან გზაზე ვერავინ გაატარებს მანქანას, — თან გაიღიმა და დაუმატა, — აბა, რა ვქნათ, კაცის სიცოცხლეს სააღალბედოდ ხომ არ ვაქცევთ.

ეს იყო პროფესიონალის საკუთარი თავის რწმენით ნათქვამი სიტყვები. მართლაც ოსტატურად ატარა მანქანა სახიფაფო გზაზე და როგორც შემდეგ გაირკვა, იმ ადამიანის სიცოცხლე უცილობელი დაღუპვისაგან გადაარჩინა.

სასწრაფო დახმარების მანქანით სხვა დროსაც რამდენი სამადლო საქმე ჩაუდენია, რამდენი სიცოცხლე დაუხსნია ხიფათისაგან, ოჯახში და ნათესავ-მეგობრებშიც ასეთი იყო — ახარებდა სიკეთეს რომ თესავდა ირგვლივ და მშობლიურ რაიონში რომ უყვარდათ, პატივს სცემდნენ... ექიმებს შორის ტრიალებდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ცოტა ხანში მისი ცხოვრების ნირი ასე რიგ შეიცვლებოდა.

„ადვილად თავის განირვა ვაჟკაცთა სულის ღვინჯი...“ — ასე ამბობს ვაჟა-ფშაველა. თვითონაც სწორუპოვარი ვაჟკაცი და პოეტი, მართლაც, საერთო გასაჭირის დროს გამოირჩევიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ხალხის გულსთქმას დაუდგებიან დარაჯად, ადვილად გადასდებიან საკუთარ სიცოცხლესაც სამსხვერპლოზე მისატანად... ხუნტის ბანდების მიერ სამეგრელოს არად ჩაგდება, პირადად მისი ახლობლების უკიდურესი შეურაცხყოფა და აწიოკება ვეღარ აიტანა ვაჟკაცის მგრძობიარე გულმა... — ვერც საქვეყნო ქილიკი და ცილისწამება, მოთმინების ძაფი გაუნყდა, ოჯახს, შვილების საზრუნავს გადაყოლილი ვაჟკაცი იძულებული გახდა იარაღზე მოიკიდა ხელი, და მაინც, გულადი ივლისის იმ ავადმოსაგონარ დღეებში, თურმე ბოლო ნუთებამდე ყოყმანობდა გაესროლა თუ არა ტყვია. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამბავი მიიტანეს, რომ მოხუცი მშობლები, მეუღლე და ბავშვები აუნოკეს, თანაც სახლში ვითომდაც ასაფეთქებელი ნივთიერებები „აღმოაჩინეს“, ბიძაშვილი მძევლად წაიყვანეს, გულადიმ გადაწყვიტა გამოწვევა მიეღო და ბრძოლაში ჩაბმულიყო, რის შემდეგაც დაობლდა, თვალბუქი უსაზღვრო სევდა ჩამდგარი, მუდამ მამის მოლოდინში დარჩენილი, გულადი

დი ღვინჯილიას მცირეწლოვანი ოთხი შვილი...

— 5 ივლისს გვეწვივნენ „სტუმრები“, — ჰყვება სვეგამწარებელი გულადის მამა. — აგვანიოკეს, გაგვძარცვეს... მერე ისევ მოვიდნენ, ერთი ყუთი ასაფეთქებელი მოიტანეს, თან გადაძვინეს ჯგუფი მოჰყვებოდათ, ვითომ ჩვენთან ეპოვათ იგი ასე დააფიქსირეს. ამ უსამართლობით აღშფოთებული გავმწარდი... 6 ივლისს, შვილის ჯვრაც გაუციებელ ცხედარს რომ მოსვენებდნენ სახლში, უკან გავმოჰყვინეს და ეზოს კარებთან ავტომატების ჯერი დაცალეს. ასე „აღნიშნეს“... ნუთუ ამ ცინიზმის გამართლება შეიძლება?..

ბრძოლას თავისი კანონები აქვს, მასში თუ ჩაებმები, მეგრძოლის თვისებებიც უნდა გამოავლინო... უწინარესად ეს თვისება სიმამაცეა. ბავშვობიდანვე საკუთარი სახელიც მოუწოდებდა გულადს სიმამაცის გამოვლინებისაკენ... მტერთან ბრძოლაზე როგორ არ უფიქრია ვაჟკაცს, მაგრამ, სამწუხაროდ, სამტროდ მოსულ თანამემამულესთან მოუწია დაპირისპირება, როცა გამარჯვებაც დამარცხებაც იყო ფაქტიურად... უთუოდ იგრძნო ყოველივე ეს, როცა შეტევაზე გადასული ზურგიდან განგმირა მხედრიონელთა მამულად მოსულის ტყვეც... ახლა ბევრნაირად ითქმება, რა როგორ იყო საქმე, სად, ვინ რა შეცდომა დაუშვა და ვინ ემსხვერპლა ამას... ყოველივეს ობიექტურად გარკვევისათვის კიდევ დიდხანს იქნება მსჯელობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მოძალადე ცრუდემოკრატთაგან ინსპირირებულმა ძმთამკველმა ომმა ისეთი გულმართალი ვაჟკაცებიც შეინირა, როგორიც გულადი იყო.

ივლისის ავადმოსაგონარ დღეებში გულით ვერ დაიტრია რაიონმა უსამართლობას ზვარავად შეწირული ვაჟკაცები. მალულად ტიროდნენ ნალენჯიხელები მკვდრებს... რაოდენ მძიმეა გაუსაძლის ტანჯვას და ნუთისოფლის სიმუხთლეს მარტო შერჩეს ჭირისუფალი...

## გამორჩეული ვაჟკაცი იყო


ნუგზარ ძვაბავა გამორჩეული, უაღრესად პატიოსანი, სხვისი გასაჭირის თავისად მიმწევი ვაჟკაცი იყო. სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსმა, სადაც კი იმუშავა, ყველგან კაცური კაცის სახელი დატოვა. ხუნტის გვარდიელთა და „მხედრიონელთა“ სამეგრელოში გაუთავებელმა ლაშქრობებმა, როგორც მრავალ სხვას, ისე მასაც აურია გზაკვალი, გაამწარა. ნუგზარი ვერ შეეგუა ვერაგ მომხდურთა ავკაცობას, ვერ დაიტია მისმა გულმა თანამომეტა მკვლელობა, შეურაცხყოფა და ამიტომაც იგი სამეგრელოს დამცველ მეგრძოლთა შორის ჩადგა. კანონიერი ხელისუფლების ერთგული დარჩა ბოლომდე, რადგან სჯეროდა, რომ საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობასა და კეთილდღეობას ხალხის არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი მოუტანდა.

იმ დღეს, როცა ნალენჯიხაში შეტაკება მოხდა, ნუგზარი მეგობრებთან ერთად იბრძოდა, ბრძოლის შემდეგაც ადგილზე დარჩა, რათა სხვების სიცოცხლე გადაერჩინა. როგორც ამბობენ, უდიდესი რისკით მოახერხა კიდევაც ეს და თვითონ უიარაღო, სამოქალაქო ტანსაცმელს შეეგება „მხედრიონელს“. ეგონა არ განირავდნენ, მაგრამ რომელიღაც იუდამ, როგორებიც ახლა, სამწუხაროდ, ასე მომრავლდა ჩვენში, ესეც „ზვიადისტი“ ამცნო „გამარჯვებულებს“ და იმათაც აღარ დააყოვნეს, რამდენიმე არაკაცმა უთვალავი ტყვია დააყარა ტყვე ვაჟკაცს.

დღეს, ნუგზარის მეგობრები სათუთად ინახავენ მის ხსოვნას, რისი ერთი გამოხატულებაც არის სამშოს სახელით ავთანდილ კინწუარაშვილის მიერ დაწერილი ნეკროლოგი.

\* \* \* „მალე ერთი წელი შესრულდება რაც ჩვენთან აღარ ხარ, ყველას მონატრე და ხშირად გიგონებთ, ჩემო ნუგზარ.

ნალენჯიხაში ყველას ახსოვხარ და ალბათ არც არასდროს დაავიწყდება შენი თავდადება და სიყვარული, მთელი ორი თვე, სატანების მომლოდინე, სახლშიც კი არ ნასულხარ — დარაჯად ედექი შენს ნალენჯიხას. დილით, თუ შუალამით, დარსა თუ ავდარში ერთგულად იცავდი შენი ქალაქის მისაღვოს. ურთივე არ დაგიკვენსია — დავიღალე, აღარ შემიძლია ან შემცვალოს ვინმემო, ალბათ ამიტომაც უყვარდი ყველას, პოლიტიკოსს თუ მეგრძოლს, და ალბათ ასაკით როგორც ყველაზე უფროსს იმიტომაც შეგარქვეს ზედმეტ სახელად „ბაბუ“.




ნუგზარ ძვაბავა

მართლაც და ხომ ყველას „ბაბუ“ იყავი, თუმცა 45 წელიც არ შეგსრულეობდა, ზედმეტობას, ორგულობას და ლალატს არავის აპატიებდი, შენს არსებაში ხომ ყოველთვის პირველადილზე სამშობლო იყო და შეენიერე კიდევ. სანთელივით დანდი და სხვებს კი გზა გაუნათე შენი ვაჟკაცობითა და თავდადებით. სულ იმას ნუხდი, მშინა ვინმე არ მიღალატოსო, ეტყობა რალაცას გრძობდი და ხმამალა მაინც ვერ ამბობდი. დღეს კი ყველამ იცის, რომ ლალატის მსხვერპლი გახდი. თურმე კბილებით იცავდი იმ დღეებში შენს ნალენჯიხას, იმ საღამოსაც, იმიტომ მისულხარ — „უიარაღოდ ვარ, ხელს ვინ მახლებსო“ — მაგრამ ვაი რომ გახლეს კი არა ნამებით ამოგადეს სული, ჩემო საყვარელო, ტანჯულო ძმაო.

ჩემო ნუგზარ, ვიცით, ყველასთვის ძნელია შენი დაკარგვა, მაგრამ ყველაზე მეტად შენს ოჯახსა და შვილებს, ჯულიეტასა და ჯილიდას დააკლი, ძმაო, დააკლი იმ ტკბილ კერას, რომელსაც შენი დაღუპვიდან რამოდენიმე თვის შემდეგ მესამე შეილი, პატარა ვაჟკაცი ნუგზარ ძვაბავა მოეკვლინა. გილოცავთ, ჩემო ნუგზარ, მის დაბადებას. ყველას გვევგერა, რომ ისეთივე სასახელო და ერთგული გაიზრდებოდა ერისა, როგორიც შენ იყავი, ამ რწმენას გვიათკეცებს შენი საყვარელი და ერთგული მეუღლის ქეთევანის სიტყვები — „მეც და ჩემი მეუღლეც შეგუებული ვიყავით იმ აზრს, რომ თუ საქმე იქნება სამშობლოს შეწინააღმდეგებელი“ ასე, რომ შენი გენი და ჯიმი გრძელდება, ძმაო ნუგზარ, შენს სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია და შენ, ნალენჯიხის ქომოგად მდგარო, შეგცვალა შენმა პატარა ნუგზარმა, რომელიც მჯერა გაიზრდება ისეთ თავისუფალ საქართველოში, როგორსაც შენ ნატრობდი“.

ნალენჯიხის ტრაგედია საქართველოს თვითმარქვია ხელისუფლების, სახსაბჭოს შავხელი ძალების თავისივე ხალხის წინააღმდეგ თარეშის, ძმთამკველელი ომის ესკალაციის თვალნათლივი დასტურია. ვინც იმ ავადმოსაგონარ დღეებში სამეგრელოში და კერძოდ, ნალენჯიხაში სალაშქროდ მოდიოდა, ძალიან კარგად იცოდა, რომ მოდიოდა კანონიერების აღდგენისათვის მეგრძოლთა გასანადგურებლად, რომლებსაც ისინი ბანდიტებს უწოდებდნენ, სინამდვილეში კი მომხდურნი, რომელთა უმეტესობა მართლაც ბანდიტი და ნარკომანი იყო, იბრძოდნენ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცების წინააღმდეგ, — თავიანთი კუთხის ღირსების დამცველთა წინააღმდეგ. მომხდურნი მოდიოდნენ ვერტმფრენებით, ტანკებით, ჯავშოსნებით, ნალმსატყორცებით, ხელყუმბარებით, ტყვიამფრეველებით; ავტომატებით კბილებამდე შეიარაღებულნი და გააფთრებულნი დაეძებდნენ პრეზიდენტის მომხრეებს, იჭერდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ მათ, ბომბავდნენ მშვიდობიან სოფლებს, ყოველ საშუალებას ხმარობდნენ, რათა ფიზიკურად და მორალურად მოესპოთ საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის მეგრძოლნი, პრეზიდენტისადმი ფიცმინაცეში და მისი ერთგული ადამიანები; ამიტომაც აივსო კანონიერების აღდგენისათვის მეგრძოლთა მოთმინების ფიალა და მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმა ჯეროვნად მოფიქრებულ-მომზადებული არ ყოფილა, უცაბედი გადაწყვეტილების შესაბამისად, ისინი 6 ივლისს თავს დაესხნენ მომხდურებს... და ისევ ქართველები დაიღუპნენ ორივე მხარეს. ურთიერთმტრობისა და ძმთამკველელი ომის საშინელი მსხვერპლი დიდად გამრავლდა იმ დღეს...

ნალენჯიხის სკოლა-ინტერნატში დაბანაკებულ საეგზეკუციო „მხედრიონელთა“ რაზმთან ბრძოლაში დაიღუპნენ ქალაქ ზუგდიდის მცხოვრებნი, საქართველოში კანონიერების აღდგენისთვის მეგრძოლები, რომელთა ხსოვნას მიუძღვენით გაზეთის ეს გვერდი.




პველუშა გრიგოლის ძე გაბედავა

პველუშა გაბედავა დაიბადა 1951 წლის 20 ივლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში. მამა ადრე გარდაეცვალა და დედამ ზუთი ობოლი გამოზარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სატყეო ბირჟაზე. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობდა ენგურ-ქალაქკომბინატში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იყო არაჩვეულებრივად

შრომისმოყვარე, ზნეკეთილი, პირლიმილიანი ვაჟკაცი, ახასიათებდა დიდი პასუხისმგებლობის გრძობა. საშინლად განიცდიდა სამშობლოს თავსდამტყდარ უბედურებას და ამან ააღებინა ხელში იარაღი. ნალენჯიხაში მოკლეს ხუნტის ბანდიტებმა.

დარჩა მეუღლე ლუიზა და ვაჟიშვილები ზაზა და ზვიადი. 16 წლის ზაზამ მამის გზა გააგრძელა და მისი იარაღი მტკიცედ უჭირავს ხელში.



## როინ ხუხუტის ძე დარსანია

როინ (ზედმეტსახელად ციგანი) დარსანია დაიბადა 1959 წლის 17 მაისს, ზუგდიდის რაიონში. იყო კანონიერების აღდგენისათვის მეგრძოლი ფორმირების წევრი. ნალენჯიხის ბრძოლებში, როდესაც დაჭრილი თანამებრძოლი გოჩა ლომია გამოყავდა ბრძოლის ველიდან, თვითონაც დაიჭრა მარცხენა ფეხში. ორივე დაჭრილი მანქანით მოყავდათ ზუგდიდისაკენ. სოფელ კორცხელში დახვდნენ „მხედრიონელები“, გააჩერეს მანქანა, გოჩა ლომია ძირს გადმოაგდეს, ხოლო როინი უკანვე წაიყვანეს და პირდაპირ ჯაბა იოსელიანს მიჰგვარეს, რის შემდეგაც ნამებით ამოხადეს სული. „მხედრიონელების“ მიერ სადისტურად ნაწამებს გადატეხილი ჰქონდა ოთხივე კიდური, მარცხენა ხელი კი — დანახშირებული, სახეზე ასზე მეტი ნატყვიანი ემჩნეოდა, მთელ ტანზე კი — უთვალავი. ცალი ყბა ტყვიით ჩამოეკალიჯათ არაკაც „მომძიებებს“.

როინის ოჯახს, მეუღლეს სჯერა

6 რომ საქმე, რომელსაც შეენიროს...




ჯემალ ნაპოლეონის ძე კარტოზია

ჯემალ კარტოზია დაიბადა 1949 წლის 4 ივლისს, ქ. ზუგდიდში...

მისი ამხანაგი ბიჭა შენგელია, რომლის გამოსაყვანად მისული...

ჯემალ კარტოზიას მეუღლე ამჟამად კანონიერების აღდგენისათვის...



გოჩა ანზორის ძე ლომია

დაიბადა 1964 წლის 28 დეკემბერს, ქ. ზუგდიდში...

რა ფეხში. ცოტა მკურნალობაც უშველიდა...

ოჯახს, მშობლებს, მეუღლეს და ორ პაწია, 5 და 6 წლის შვილს...



ვახტანგ პეტრეს ძე ქანთარია

დაიბადა ზუგდიდში, 1956 წელს, ერთადერთი ვაჟი ობლობაში...

სათვის. დაიღუპა წალენჯიხის ბრძოლაში...



ბიჭა ილიკოს ძე შენგელია

დაიბადა 1957 წლის 17 თებერვალს, ქალაქ ზუგდიდში...

და რამდენიმე დღის შემდეგ დაიღუპა ამ ქრილობისაგან...



ონისე ვაჟას ძე შონია

დაიბადა 1968 წლის 7 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითანყარში...

„წალენჯიხის ბრძოლა ეროვნული გვარდიის ისტორიის გმირული ფურცელი“



ეროვნული გვარდიის ისტორიაში ერთ-ერთ გმირულ ფურცლად შეიძლება ჩაინეროს წალენჯიხის ბრძოლა...

გურამ ლაკია, ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკი

თქვენ კანონიერი მხედრები გქვიათ, უსამართლოვანსთან სამართლიანი მებრძოლები!


სობრებული, გაპარტახებული გზები და ბილიკები, ქუჩებში მოჯირითე მანქანები...

მაღონა მაქაძარიანი, სრულიად საქართველოს მოძრაობა „სსონა“-ს თავმჯდომარე-გაზეთი „წალენჯიხის ზარები“ სპეციალური გამოშვება, 2002 წ.

წალენჯიხის ზარები! (ციკლიდან „ცოდვის კალო სამეგრელოში“)

რეკდენ მრევლის გასაგონად წალენჯიხის ზარები, შორს ისმოდა ხაფი ხმები...

თ. კოლხელი. 1994 წ.



წვენი საუფაო

წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი — განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი...

# საქართველო გაიმარჯვებს!



საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვა ქ. ნალენჯისაში გამართულ მიტინგზე 1993 წლის 25 სექტემბერს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გროზნოდან საქართველოში დაბრუნება დღევანდელი ხელისუფლების სამთავრობო ოფიციალურმა საინფორმაციო საშუალებებმა შეაფასეს როგორც პრეზიდენტის მხრიდან სამოქალაქო ომის გაჩაღების სურვილი და მცდელობა. სინამდვილეში კი რისთვის დაბრუნდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც პასუხს ვასცემს მისი ეს გამოსვლა.

ვირფასო ძმებო და დებო, მე ჩამოვედი თუ არა საქართველოში, გუშინვე მინდოდა თქვენთან მოსვლა, იმიტომ რომ ყველაზე დიდი დარტყმა ამ კაცი-ქაშაშვილის ხელისუფლებისაგან მიიღო ნალენჯისაში. ყველაზე დიდი უბედურება აქ დატრიალდა და სწორედ ამან გამოაჩინა თქვენი

სიმტკიცე, თქვენი ვაჟკაცობა და კანონიერი ხელისუფლების ერთგულება. ამიტომ მიყვარხართ თქვენ და ამიტომ მიყვარხართ თქვენ მთელს საქართველოს. ახლა, მეგობრებო, საქართველო არის უმძიმეს მდგომარეობაში. ჩემი ჩამოსვლა, როგორც ხედავთ, გაჭიანურდა. ალბათ ბევრი თქვენგანი ეკითხებოდა საკუთარ თავს, რატომ აგვიანებს მოსვლას პრეზიდენტი? მეგობრებო, მე ვერ ჩამოვდიოდი იმის გამო, რომ მიმლიდნენ ხელს, ხუნტა მიშლიდა, ყოველგვარი ბოროტი ძალები მიმლიდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დავძლიე ყველა წინააღმდეგობა და, აი, ახლა თქვენთან ვარ. მე ჩამოვედი იმისათვის, რომ ვიხსნა საქართველო. ყველამ ერთად უნდა ვიხსნათ საქართველო. ამ ბოროტმა, უკანონო ხელისუფლებამ, როგორც ხედავთ, კატასტროფამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. ამავე დროს ჩამოვედი,

რათა წარმატებით დაგვირგვინდეს აფხაზეთის ომი, ვინაიდან ჩვენმა მტრებმა ისარგებლეს ჩემი არყოფნით და გააჩაღეს ეს დამლუპველი ომი. ჩვენ, მართალია, სისხლისღვრის მომხრე არავართ, არც ერთი ერის საწინააღმდეგო არაფერი არა გვაქვს, მაგრამ თუ არ დათანხმდებიან შერიგებაზე, ეროვნულ შერიგებაზე, მოლაპარაკებაზე, მაშინ იძულებული გავხდებით, ძალის პოზიციებიდან ველაპარაკოთ მათ და დავიბრუნოთ ის ტერიტორიები, რომლებიც წაგვართვეს ხუნტის ხელშეწყობით, სხვათა შორის, შევარდნაძის ხუნტის ხელშეწყობით, მეგობრებო, საქართველოს უჭირს, ახლა საქართველო უნდა გახდეს ერთ მუშტად შეკრული, მობილენი ხელი სამხედრო ბანაკი, სადაც იქნება უმკაცრესი დისციპლინა და ურთიერთგაგება. რაც მთავარია, მეგობრებო, ომი მართო ბრძოლა კი არ არის, ომი

შრომაც არის, დიდი შრომა, უდიდესი შრომა არის ომი!  
ახლა კი ცოტა პროზაულ საკითხებზე გადავალ, ვინაიდან ამის გარეშე არაფერი არ არსებობს. თქვენ ხედავთ, რომ ომია, თქვენ ხედავთ, რომ არის ბლოკადა. ხუნტამ გაანადგურა, გააჩანაგა საქართველოს ეკონომიკა. გაყიდა ყველაფერი. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი დაეცა და თუ ქვეყანას ეკონომიკური პოტენციალი არა აქვს, ის ქვეყანა ვერ გაიმარჯვებს ომში, ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული. რატომ ვამბობთ ამას? მართალია, იყო ეროვნული დაუმორჩილებლობა, ხალხი არ ემორჩილებოდა ამ ხუნტას, უკანონო ხელისუფლებას და არ მუშაობდა, მაგრამ ახლა უნდა ვიმუშაოთ თავგამოდებით, მეგობრებო. ჩაი აუცილებლად უნდა მოიკრიფოს. მართალია, ხალხს სძულს კომუნისტები და რახან კომუნისტები ამბობდნენ, ჩაი კარგიაო, ხალხმა ჩაიც შეიძულა, ასეც არ შეიძლება, მეგობრებო, კომუნისტებს თავისთვის უნდა დაელოდა ის ჩაი, ჩვენ ხალხისთვის გვინდა და ჩაის კულტურა დღეს ჩვენი ეკონომიკური სიძლიერის პირველი გარანტიაა. გთხოვთ, თუ ჩემი პატივისცემა და სიყვარული გაქვთ, შრომით უნდა დავამტკიცოთ ეს. ამაზე არის დამოკიდებული კანონიერი ხელისუფლების აღდგენაც. ამ ომში გამარჯვებაც და ბევრი სხვა რამეც, აი, ეს მინდა რომ იცოდეთ, მეგობრებო. მე ამას ყველას ვეტყვი, ყველა რეგიონს. უკვე დროა, გამოვიდეთ მძიმე შოკიდან, რომელშიც ჩავგვადგო ამ უკანონო ხელისუფლებამ და შრომით, მკაცრი დისციპლინით ვუშველოთ საქართველოს. აი, ეს არის ჩემი უპირველესი სათხოვარი. მართალია, სიძნელეებია საწვავის დარბევი, მაგრამ ამასაც ეშველება. ვინც ახლა აქა ხართ, ყველანი ვიცი, გულმხურვალე პატრიოტები ხართ, მებრძოლები ხართ და აი, ამ მხრივ უნდა აწარმოოთ აგიტაცია რაიონში, სოფლებში, ყველგან. ჩაის კულტურის მოსავალი კარგი რომ იყოს, ამაზე დამოკიდებულია ჩვენი ფრონ-

ტის მდგომარეობა და ბევრი სხვა პრობლემაც. ამას გეუბნებით იმიტომ, რომ მე ჩამოსული ვარ არა მართო პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად, არამედ სამეურნეო საკითხებსაც უნდა მივხედოთ. ხუნტამ სწორედ იმით ჩასცა ლახვარი საქართველოს, რომ ეკონომიკა მოშალა, მთელი სოფლის ეკონომიკა მოშალა, ყველაფერი გაანადგურა. ჩვენ უნდა აღვადგინოთ, რაც ხუნტამ გაანადგურა, ჩვენ ყველაფერი უნდა აღვადგინოთ და გავაძლიეროთ. მე თავს ვხედავ იმ დალუპულ გმირების ხსოვნის წინაშე, აი, რომელთა სურათებიც აქ არის, რომლებიც სხვა მრავალი არის. ნალენჯისის რაიონმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო. მე არაერთხელ გამოვგზავნე კიდევ სამიძი-მარი, ვუსამძიმრებ ახლობლებს და მათთან ერთად ახლაც ვგლოვობ ამ ჩვენს დალუპულ გმირებს. კიდევ ერთხელ მინდა ვითხრაოთ, მეგობრებო, დაგარწმუნოთ, რომ მე არასოდეს სხვა არაფერზე არ მიფიქრია, გარდა საქართველოს კეთილდღეობისა, საქართველოს გაძლიერებისა. ამაჟამად ხუნტას ჩვენ საომარი მოქმედებით არ ვუპირებთ დამხობას, ჩვენ სამოქალაქო ომი არ გვინდა. არც ვაპირებთ, რომ გამოვუცხადოთ ვინმეს სამოქალაქო ომი, მაგრამ ისე უნდა წარვმართოთ ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა, ეროვნული დაუმორჩილებლობა, რომ ხუნტამ შეიგნოს თავისი პოლიტიკური კრახი და თავისთავად გადადგეს. ხუნტა ჩვენ ვერ დაგვაროქებს, ჩვენ დავაროქებთ ხუნტას! საქართველო გაიმარჯვებს! დიდი მადლობა ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის! როცა მექნება საშუალება, ყოველთვის გინახულვებ, ყოველთვის შემოვივლით და ჩამოვალ ხოლმე თქვენთან შესახვედრად, აი, ამ წმინდა ტაძარში (იგულისხმება ნალენჯისის მაცხოვრის ეკლესია — რედ.) სალოცავად, რომელიც ძალიან მიყვარს.

„ნალენჯისის ზარები“ №13, 1993 წ. ვიდეოკამერით ჩანერათამაზ ლუკავამ

## იმ დღეებში ნალენჯისელმა ექიმებმა პირნათლად, ღირსეულად შეასრულეს მოვალეობა (ჭორ-მართლის გასარკვევად)

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, სამეგრელოს, კერძოდ, ნალენჯისის „მხედრიონელთა“ და სხვა სახის ბანდფორმირებათა მიერ ხუთგზის დალაშქრის ამბების მცოდნე მკითხველს უთუოდ ახსოვს ნალენჯისაში 20 წლის წინ მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების პერიპეტეები, რასაც ათეულობით ჩვენი თანამემამულე შეენირა.

ნიგნში „ცოდვის კალო სამეგრელოში“ (თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007 წ.) ნაწილობრივ ავსახეთ მამინდელი მოვლენები. აღნიშნული ნიგნი ორ ნაწილად უნდა გამოსულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო, რაც უწინარესად ავტორის ავადმყოფობამ და უსახსრობამ გამოიწვია, ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელდა. მეორე ნიგნი გამოუმუშავებელი დარჩა. ისიც არის მიზეზი ამისა, რომ რატომღაც ჩვენი საზოგადოების ე.წ. შეძლებულ წარმომადგენლობას თავის შენუხებად არ უღირს ისტორიის წინაშე პირადი პასუხისმგებლობა, რაც ყველა მოქალაქეს უნდა გააჩნდეს (ვგულისხმობთ, რომ

საქმიანად არც არავინ დაინტერესებულა ხსენებული ამბების შემდგომი გაგრძელებითა და გამოძიებით!) მეორე ნიგნად გამოზადებულ მასალებში კი ბევრი საგულისხმო ამბავია აღწერილი. მათ შორის ერთ-ერთი: „სჯეროდა, რომ კანონიერებას იცავდა“, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამცველ, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ ნალენჯისელ სლავა ჩხვიმიანზე, ორიოდ წლის წინ გამოაქვეყნა ვაზეთმა „ნოჯისურმა“ (№22).

ამჯერად გთავაზობთ 5 წლის წინ ჩანერილ ერთ-ერთ ეპიზოდს ნალენჯისის 1992 წლის 6 ივლისის ტრაგედიიდან:

რესპუბლიკურ პრესაში ბევრჯერ და ბევრგან გაიჟღერა თანამემამულეთა წინააღმდეგ ომში „სახელმძღვანელი“ ჯაბა იოსელიანის ნალენჯისის ბრძოლიდან ვითომც ექიმების მიერ ზენარში გახვეულის გაყვანამ და ამის შედეგად ჯაბას ცოცხლად გადარჩენამ. მიუხედავად ჯიოსელიანისადმი პირადი აშკარა არაკეთილგანწყობისა, სინამდვილე ასე რომ არ ყოფილა,

ეს მონათხრობი ნათლად ადასტურებს.

ნალენჯისელმა ექიმებმა, საავადმყოფოს მედპერსონალმა იმ დღეებში პირნათლად, ღირსეულად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ამის შესახებ დაბეჭდილ ნიგნშიც არის მოთხრობილი, ხოლო ნიგნის მეორე ნაწილისთვის განკუთვნილი ეს ნაამბობი, ზოგ რამეს უფრო რომ აზუსტებს, პირველად იბეჭდება!

თამაზ ფიფია



ვახტანგ შელია — ნალენჯისის რაისავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

— ნალენჯისის ივლისის მოვლენები ჩავლილი იყო, როცა ჩემთან მოვიდნენ შეიარაღებული პირები, რომელთაგან ერთი ტანმორჩილი ახალგაზრდა გამეცნო ზუგდიდის კომენდანტ ბადრი ზარანდიად... მან უხეშად მიბრძანა, რომ გავყოლოდი ზუგდიდში, სადაც დამსახურებულ სასჯელს მივიღებდი იმის გამო, რომ თითქოსდა დავებმარე ჯაბა იოსელიანს — ზენარში გახვეული გამოვაპარე ალყაშემორტყმული სკოლა-ინტერნატიდან, რაც, ცხადია, ასე არ ყოფილა. ვიუარე, მაგრამ იარაღის მუქარით მანქანაში ჩამსვეს და მითხრეს: გავარკვევთ შენს სიმართლეს, რასაც ამბობთ ვერ დაამტკიცებ, დაგვხრეტო! მოეფოთდი, რადგან ზუგდიდში როგორ დამტყვიცებინა ჩემი სიმართლე, როცა ნალენჯისაში არ მიჯერებდნენ ნათქვამს. გზაზე დავასკენი, რომ ასე მორჩილად გაყოლა არ ივარგებდა, საშინელი განუკითხაობის პერიოდი გრძელდებოდა და ეს ახალგაზრდებიც ისეთი აგრესიული ჩანდნენ, მათგან ყოველგვარი ხიფათი მოსალოდნელი იყო.


— რადგან მე არ მიჯერებთ, მივიდეთ საავადმყოფოს მთავარ ექიმთან, იგი ჩემი უდანაშაულობის მონმეა, — მივმართე ზარანდიას, რომელიც ამ წინადადებას დაეთანხმა და მივბრუნდით.

ზაურ გვასალია, ნალენჯისის რაისავადმყოფოს მთავარი ექიმი

— ვახტანგ შელია შეიარაღებულ პირთა თანხლებით შემოვიდა ჩემთან. უცნობი ტანმორჩილი ახალგაზრდა კაცი უცერემონიოდ წინ დამიჯდა და მითხრა: მე ზუგდიდის კომენდანტი ვარო. ორი ავტომობილი კი იქვე იარაღჩაბლუჯული დადგა.

— ბატონო ზაურ, ამათ 6 ივლისის სიტუაციებიდან ზოგი რამე აინტერესებთ... — მითხრა ვახტანგმა, რომელიც ავტომობილების გვერდით იდგა და საკმაოდ ალელვებული ჩანდა.

— აქ, ჩემთან, ავტომობილებით ვერ არავინ შემოსულა, — ვერ დავფარე უკმაყოფილება. — ჩვენ ექიმები ვართ და აქეთურ-იქეთურ ყველას მოვემსახურებთ, ყველანი პატივისცემით გვექცეოდნენ, ამიტომაც გაუგებარია ასეთი რამ!



8

გახდა ეს მეთქვა, სიტუაცია გან- იმუხტა. უცხონი მოღბნენ და თავაზიანად დამემშვიდობნენ. ვახტანგი მათ გაყვა და ცოტა ხანში შემობრუნდა, გულითადი მადლობა მითხრა, ძალიან მძიმე მდგომარეობიდან მიხსენითო, თქვენი მეშვეობით ჩემი ალალ- მართლობა რომ არ დამემტკიცე- ბია, ზუგდიდში წაყვანას და იქ სიკვდილით დასჯას მპირდებოდ- ნენო.

**\* \* \***  
**ბატონ ზაურთან წაღენ- ჯიხის 6 ივლისის ტრაგიკული დღის მოვლენებზე საუბარი განვაგრძეთ. მის მონათხრობს მკითხველს მოკლედ გა- ვაცნობთ:**

— 6 ივლისს, საკუთარ სახ- ლში, ღია ფანჯარასთან ვინექი. პირველი ტყვიის გავარდნისას არ მეძინა და საათს დავხედე, ხუ- თის ხუთი წუთი იყო. სროლები თანდათან გახშირდა, მაგრამ ვერ გავაცნობიერე სად რა ხდებოდა. დავრეკე ფოსტის სამორიგოში, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. მორიგე მითხრა, სროლები ისმისო სკოლა-ინტერ- ნატიდან, სადაც „მხედრონი“ იყო დაბანაკებული. ჩემი სახლი- დან სკოლა-ინტერნატამდე ერთ კილომეტრზე ცოტა მეტი იქნება. შინ მარტო ვიყავი. გადავწყვიტე მაშინვე საავადმყოფოში წამოე- სულიყავი. გზაში რომ მოვიდოდი, თანდათან სროლების სიხშირე მატულობდა. სახანძრო განყო- ფილების შენობას რომ ჩავუარე, უკვე იალონის ბინდებუნი იცრი- ცებოდა.

— ზაურ ბიძია, ნუ მიდიხართ, საშუაია! — მომესმა ძახილი სახ- ანძროს ეზოდან. — ტყვია მოგხ- ვდება!

— არა, უნდა წავიდე! — შევე- პასუხე და თან დავაკვირდი იქაუ- რობას: შევნიშნე ავტომობილების ლულები და მივხვდი, იქაც შეიარ- რაღებულნი ჩასაფრებულებიყვნენ. მათ კვლავ დამიძალეს წასვლა, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო, რადგან სადაც სრო- ლა იქ უთუოდ დაჭრილებიც იქნებიან და პროფესიული მოვა- ლეობა მკარნახობდა რთული მოვლენებისადმიც მზად ვყო- ფილიყავი.

— რახან მაინც მიდის, გააც- ილე! — მომესმა ეს სიტყვები და ახალგაზრდებიდან ერთი მათ- განი გამომყვა საავადმყოფომდე, რომელიც სკოლა-ინტერნატს სულ სამასიოდ მეტრით არის დაშორებული. საავადმყოფოს შესასვლელთან უკვე ვამჩნევდით ჰაერში გაეღვებულ ტყვიებს და გვესმოდა მათი სტენა-ჭიკჭიკი. შესასვლელთან, ჭადრის ხეს მსხ- ვილი ყალიბის ნაღმი თუ მოხ- ვდა, რადგან ჩემს მკლავზე უფრო მოზრდილი ტოტი მოგლიჯა და კინაღამ თავზე დამამხო. გამ- ცილებელი იქ დამშორდა, მე კი უკვე სირბილით, საავადმყოფოს შენობას ისე მივამოხურე, როგორც თავშესაფარს.

იმდღევანდელი ამბები ბევრგან საკმაოდ დეტალურად არის აღწ- ერილი და მე მხოლოდ მცირედ- სლა დავუმატებ, — მხოლოდ იმას, რაც საავადმყოფოში ხდებ- ბოდა, მას შემდეგ, ჩვენთან რომ მკვდრები მოასვენეს. მიცვალებ-

ულთათვის სპეციალური ოთახი გამოყვავით — 5 თუ 6 მკვდარი ესვენა (უკვე ზოგი რამ თანდა- თან მაინცეცდება). მოგეხსენებათ, ივლისის თაკარაში გვამებს მალე მატლები გაუჩნდა, საშინელ- მა სიმყრალემ მოიცვა იქაუ- რობა. მატლდასეული გვამები უსაზარლესი სანახავი იყო. მხ- ოლოდ ზოგიერთის ჭირისუფალ- მა იმარჯვა და როგორღაც მოახ- ერხა მიცვალებულის წასვენე- ნება. ვგონებ შენგელია წაასვენეს ზუგდიდში. ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან საავადმყოფოში მხედრონის დაცვა იდგა და მათ- თან გამოლაპარაკება ხიფათს შეიცავდა, თანაც წასვენებისა და დატირების ნებართვას ძნელად თუ გასცემდნენ. სატირალში მის- ვლაც სარისკო გახლდათ. ჩვენი საავადმყოფოს მოკლული მძ- ლოლი გულადი ღვინჯილია სულ ოციოდე კაცმა დავასაფლავეთ...

გახრწილი გვამების ოთახში დატოვება აღარ შეიძლებოდა და გადავწყვიტე საავადმყოფოს ეზოში გამეთხარა მათი დროე- ბითი საფლავი. მოვიყვანეთ ექსკავატორი და დავინყეთ საკ- მად განიერი ორმოს ამოღება. ამ დროს ჩემთან მოვიდა ერთი მაღალი ახალგაზრდა კაცი და მითხრა, რომ მკვდრებს თვითონ ეპატრონებოდა. გამიკვირდა ასეთი რამ, თითოეულ მკვდარს მალე ჭირისუფალი გამოუჩნ- დებოდა და მე როგორ შემეძლო უცხოთვის რამდენიმე ცხედარი გამეტანებია...

ექსკავატორი უკვე ორმოს ამოღებას ამთავრებდა. — ვინ ხარ, როგორ შემიძლია

გენლო? იქნებ მხედრონელთა წარმომადგენელი ხარ და გასურთ მკვდრები გადაყაროთ?!

— ზვიადისტი ვარ! — მითხრა მან. — მკვდრებს ჩვენ მიუჭრენთ ადგილს! — არ მეშვევოდა ის ახალგაზრდა კაცი და კატეგო- რიულად მოითხოვდა მკვდრები წაესვენებია. გული კი მეთანალ- რებოდა, მაგრამ წინააღმდეგობა ვეღარ ვაგუწიე და ცხედრები გა- ვატანე.

იმ პერიოდში, ოთხი დღე-ღა- მის განმავლობაში, შინ მხოლოდ ერთხელ მივედი ელექტროსა- პარსის გამოსატანად, დანარჩენი დრო სამსახურში ვავატარე. ეს აუცილებელი იყო, რადგან წი- ნააღმდეგ შემთხვევაში საავად- მყოფოს მომხდურნი ნაბილწავდ- ნენ...

მეუღლეც ჩვენი საავადმყოფოს ექიმია, თბილისში იყო ვაჟიმ- ვილთან. ტელეფონით ვსაუბრობ- დით ხოლმე და ვურჩევდი არ ჩამოსულიყო, მაგრამ გაჭირვე- ბაში ვერ მიმატოვა... როცა ჩამ- ვოვდა და ერთმანეთს შევეხვით, გაოცებულმა შემთავალიერა და მითხრა:

— ზაურ, ნუთუ აქ მართლა ასე- თი მძიმე დღეები იყო?!

— როგორ თუ ასეთი?! — გა- მიკვირდა, რადგან ვერ მივხვდი შეკითხვის დედააზრს.

— აბა, ნახე, სარკეში ჩაიხედე. — იმ დღეებში სარკეში ჩემს თავს ერთხელაც არ დავაკვირებდივარ. ჩავიხედე და ვნახე, მანამდე რომ ერთი ღერიც არ შემინიშნავს ახლა თმაში თეთრი უხვად გამომ- როდა.

2007 წ.

# ღირსება და შეპართება უსამართლობასთან საბრძოლველად

## ოთარ შპილავა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ყოფილი საგანგებო რწმუნებული:

საქართველოს 1991-93 წლების მოვლენების გარშემო უამრავი სტატია, წიგნი, მოგონება თუ მეშუარია დაწერილი. ზოგი აბსურდული და მიკერძობებული, ზოგი აგრესიული, ძირითადი, საჭირო- ბოროტო, ზოგადქართული უბედურების გამომწვეურებისათვის ძალიან ცოტას თუ უფიქრია და დაუწერია.

მე მინდა შევეხო მხოლოდ ერთს — 1992 წლის 6 ივლისის დილას წაღენჯიხაში დატრიალებულ უბედურებას. ამ განხილვებულ ძმათაკვლის დილას წინ უძლოდა უამრავი დამამცირებელი და ქართველი კაცისათვის მიუღებელი ნაბიჯები შევარდნაძის ხელისუფლების, მისი დამქაშების, — „მხედრონის“ თავკაცის ჯ. იოსელიანის, თ. კიტყაიას და სხვათა მხრიდან. ეროვნული სულის მატარებელმა, მართალ- მა და პუტჩისტების მხარეს არ დამდგარმა ქართველებმა, თავი საქართველოს დასავლეთში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში მოიყარეს. ესენი იყვნენ როგორც ეროვნული გვარდიის წევრები ისე მოხალისეებისგან შემდგარი მცირე ჯგუფები. მათი უმრავლესობა ძალიან შორს იყო სამხედრო ხელოვნებისაგან, მაგრამ გააჩნდათ ღირსე- ბა, შემართება და სურვილი — ებრძოლათ უსამართლობის წინააღმდეგ... 1992 წლის 24 ივნისს

ტელევიზიის სახლის ადების მცდელობისას დაპატიმრეს ასობით ადამიანი, „მხედრონი- მა“ მორიგი ლაშქრობა მოაწყო სამეგრელოს მიმართულებით. ჯაბა იოსელიანი და მისი ყაჩაღები სენაკში, სამეგრელოში შევარდნაძის რწმუნებულის, კეკელიას გვერდით დაბანაკდა. ჯაბას მენიწავე რაზმმა გიგა გელაშვილის (გიგა ბორჯომელის) მეთაურობით ნოქალაქეის მახლობლად ათამდე მძევალი აიყვანა (ნ. ჯიქია, ს. ჯომიდავა, ზ. ბოკუჩავა, გ. ჩაბრავა, ნ. მალა- ნია, ე. ქობალია და სხვები), მათ ვერ დახვრეტა მოუწოდებეს, მერე იმდენი ურტყეს, რომ ორ მათგანს ძველი ნაჭრილობები გაეხსნა, დანარჩენებს კბილები და ძვლები არ დაუტოვეს. მათ- გან ზოგი თბილისში გაგზავნეს, ზოგი — ქუთაისში. კეკელიას მიერ ნაცემი ე. ქობალია საოპ- ერაციო გახდა.

მომხდარი ფაქტი სწრაფად გავრცელდა. შეიარაღებული ხალხის შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა. სავლეთ მეთაურე- ბიდან ყველაზე შეურიგებელი სლავა მინჯია იყო. ამბობდა, რომ თუ ჯაბას კისერს მოვუ- გრებთ, საქართველოს ბედიც შემობრუნდება. ჩვენ თუ და- ვილუპებით, სხვებს მაინც გა- დავარჩენთო, ბოლო-ბოლო სირცხვილია, რამდენი უნდა ვიმალოთო. ამ აზრს თითქმის ყველა იზიარებდა. სიტუაცია უმართავი ხდებოდა, იმ პერი- ოდისათვის ეროვნული გვარ- დის სტრუქტურა მოშლილი იყო და მისი ფეხზე დაყენების ნაბიჯები იდგებოდა. დაჭრილი

იყო ვ. ქობალია, გ. ლაკიაძე. ე. ქობალიას დაპატიმრების გამო ფაქტიურად მარტო დავრჩი, როგორც ზ. გამსახურდიას სა- განგებო რწმუნებული, რაც იმ მომენტში ანგარიშგასანევად ითვლებოდა.

შეიარაღებულები ჯაბაზე თავდასხმის დროში განელ- ვის წინააღმდეგი იყვნენ. მე ვამტკიცებდი, რომ უკეთესი იქნებოდა თუ ჯაბას ყაჩაღები მოსახლეობაში სოციალურ უკმაყოფილებას შექმნიდნენ. ხალხში განწყობისათვის ასე აჯობებდა. არც ერთი მებრ- ძოლი არ დამეთანხმა, — სას- წრაფო მოქმედებისაკენ მოუ- ნოდებდნენ ერთმანეთს. ისინი მხოლოდ ერთში დავითანხმე, რომ თავდასხმა დასახლებულ პუნქტში არ უნდა მომხდარიყო. ადგილებიც შევარჩიეთ. თუ ჩხ- ორონყუთი წავიდოდნენ, სათ- ვეზე გუბურებთან უნდა გავვე- მართა ბრძოლა, თუ კირატხი- ჯისხაპკარით მაშინ სარაქონ- თან, სადაც მიტოვებული სათევზე მეურნეობა იყო, ადგი- ლები გაშლილია, სანგრებიც მზადაა და არც გასაქცევი ად- ვილია. განიხილებოდა სხვა მი- მართულებებიც. ჩვენდა საუბე- დუროდ, ამ ადგილების შეუმჩ- ნეველად დაკავება ვერ მოხერხ- ვდა. ეს კი იმის ბრალი იყო, რაც ადრე მოგახსენეთ — სამხედრო საქმის არცოდნა, კონსპირაცი- ის დაბალი დონე, სუსტი დის- ციპლინა. აქედან გამომდინარე ძალიან ძნელი გახდა ისეთი დავალების მიცემა, როგორც შეიარაღებული თავდასხმა- ამასობაში ჯაბამ სენაკი დატო-

ვა, ჩხორონყუთი გადავიდა, იქი- დან კი წაღენჯიხაში შეუფერხე- ბლად შევიდა. დაიკავა ინტერნა- ტის შენობა და მიმდებარე ნაგე- ბობები. ისევე შემოვიარე ყველა ჯგუფი და მივალნიე იმას, რომ ნაკლებად საიმედო მეთაურები მხოლოდ გზების ჩაკეტვაზე და მოსალოდნელი დამხმარე ძა- ლების შემოსვლის შეჩერებაზე იზრუნებდნენ, დროებით მაინც შეაფერხებდნენ დამხმარე ძა- ლას, რაც წარმატებისათვის საკმარისი იყო ძირითადი ძა- ლებისათვის, რომლებიც დაახ- ლებით 60-65 კაცი თითქმის და- ნენ იერიშს „მხედრონიზე“, — მხოლოდ ერთი მიზნით — ჯაბას გასანადგურებლად! თუ ამას მიაღწევდნენ, შემდეგ ისინი ბრძოლიდან გადიოდნენ და თავდაცვაზე იზრუნებდნენ. 6 ივლისის დილაადრიან დაიწყო იერიში ინტერნატის შენობაზე. ოპერაცია წარმატებით ვი- თარდებოდა, მაგრამ მოხდა ის, რისიც ყველას გვემინოდა... ცაიშთან ჩასაფრებულებმა დამხმარე ძალებს ცეცხლი არ გაუხსნეს, არც ქუთაისიდან წა- მოსულ ბუცხრიკიძეს დახვდა ვინმე ჩხორონყუ-წაღენჯიხის მონაკვეთზე. იგივე განმეორდა კორცხელთან, სადაც ჩასაფრე- ბულებს მძიმე ტექნიკის გაჩ- ერებაც შეეძლო. ჩემი ეჭვი ამ მეთაურების არასაიმედობაზე გამართლდა. ზოგი მათგანი დღეს ცოცხალი არაა და მათზე საუბარი მკრეხელობა იქნებო- და. მოიერიშეების თითქმის ნახ- ევარმა ბრძოლის ველი დროზე ადრე დატოვა: ზოგს ტყვია- წამალი გამოეღია, ზურგიდან

შემოსულმა მძიმე ტექნიკამ და შეველმფრენების სარაკეტო დარტყმამ მოიერიშეთა რიგებში პანიკაც გამოიწვია. სავლეთ მე- თაურები სიტუაციას ვერ აკონ- ტროლებდნენ. მოიერიშეები ბრძოლის ველს გაერიდნენ. „მხ- ედრონის“ ყაჩაღები მშვიდობი- ან მოსახლეობას დაერივნენ, — ასე დატრიალდა ცოდვის კალო წაღენჯიხაში.

ყოველივე ამან აზრთა სხვა- დასხვაობა გამოიწვია — იყო თუ არა ეს ოპერაცია წაღენ- ჯიხის ცენტრში საჭირო? უმ- რავლესობა ამბობს არაო. 1992 წელს მეც იმ უმრავლესობის მხარეს ვიყავი და ვწინააღმდე- გებოდი იარაღის გამოყენებას მჭიდროდ დასახლებულ ადგი- ლებში. დღეს კი იმათ გვერ- დით ვარ, მოძმეთა გადარჩენის იმედით თავი რომ განირეს, თავი არ დაიმცირეს, ჯიში და ჯილაგი ასახელეს.

დარწმუნებული ვარ, 1992 წლის 6 ივლისის მიზნის განხ- ორცილება აფხაზეთში ომს აგვაცდენდა და ათასობით ქართველს შეუნარჩებდა სიც- ოცხლეს.

მე გამომიციდია და ვიცი რა არის შვილის ან ძმის დაკარგვა, მესმის იმ ადამიანების გულისტ- კივილი, რომლებმაც ქვეყნის სამსხვერპლოზე უძვირფასესი ადამიანების სიცოცხლე მიი- ტანეს. ვუთანაგრძნობ მათ და მუხლს ვიხრი ყველა იმ ვაჟკაცის წინაშე, რომელმაც ჩვენი ეპოქის ცოტნე დადიანის სახელი დატო- ვა საქართველოს ისტორიაში.

23.III. 2006 წ.



10

ვის ცალკე ფონდი არსებობსო. არის ხმები, რომ ვილატეები ამით ხელს ითბობენ. ჩვენ კი მთავრობისაგან არაფერი არ მიგვიღია. მაღლობელი ვარ მხოლოდ ჩაის კომბინატის დირექტორის გონერ სალიასი, რომელმაც პირადი ინიციატივა გამოიჩინა და სურსათით დაგვეხმარა. ძირითადად მეხმარებიან მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები, ანუ საქართველოს პრეზიდენტის მომხრეები, მათ, ამას წინათ, 2 ტომარა პურის ფეკლი და 20 ქილა შედედებული რძე გამოგვიგზავნეს... მერღობა, დასახმარებლად რომ გავვიხდა საქმე...

ლუიზა ჩუმდება და ვგრძნობთ ქართველი ქალის, ქართველი დედის გაუტყველ თავმოყვარობას, დღიურ ჭირვარამთან შერწყმულს...

— სამართლიანობის მხარეს იყო, უდანაშაულო დაიღუპა და ვიცი, რომ ჩვენს შვილებს მამის სახელი სიამაყის გრძობას მოჰგვრით. ესეც

ნუგეში ყოფილა, სახეს მარიდებს და ცრემლს იმშრალავს. უბედურების ფამს ყველაზე დიდი ნუგეში ხალხის თანადგომა არის...

**ბოროტების მსხვერპლი**  
მოგვითხრობს ვახტანგ ქუჩულორაია

რენო აქესენტიძის ძე ლვინჯილიას ყველა იცნობდა ნალენჯიხაში, როგორც ალაღმართალ, იუმორით სავსე კაცს, როგორც ნაღდ ნალენჯიხელს. გამორჩეული სიყვარულით მინც ჩვენ გვიყვარდა — სოხუმის



რენო ლვინჯილია

ქუჩის მცხოვრებთ. ბატონი რენო ნლენჯილის მანძილზე საქვეტორანსში მუშაობდა მძლოლად და მე არ მეგულედა სოხუმის ქუჩაზე, მისთვის ყველაზე საყვარელ ქუჩაზე თუნდაც ერთი ოჯახი, რომ მას დახმარების ხელი არ გაეწოდოს ფიზიკურადაც და სულიერადაც.

კაცი დიდ შვებას იგრძნობდი, გულშენუხეზულიც რომ ყოფილიყავი, განიტყვობდი, თუ ბატონი რენოსთან ერთად ქართულ სუფრაზე მოილხენდი. საოცარი მოლხენა იცოდა. მის ყოველ ფრაზაში იუმორის ნაღმი იყო. ბატონი რენოს მიერ შეთხზული ანეკდოტები და გამოთქმები ახლა უკვე მოგონებად შემოგვრჩენია მის მეზობლებს, ახლობლებს, მეგობრებს.

იმ ავბეყინი დღეს, 6 ივლისს ნავიდა ამ ქვეყნიდან. გამოთენისას, სროლა რომ ატყდა აივნიდან გაიხედა და ინტერნატის შენობიდან გასროლილმა ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე. ეს მოხდა დაახლოებით დილის 5 საათზე და ამდენად მტკიცება იმისა, რომ „მხედრიონელებმა“ ორი საათი თავდამსხმელებს სროლითვე არ უპასუხეს, როგორც ამას შემდგომში საინფორმაციო საშუალებები გვაუწყებდნენ, სინამდვილეს არ შეეფერება.

რენო ლვინჯილია პირველი შეენი-

რა „დემოკრატია ტყვიას და თავისი ტრაგიკული აღსასრულით ამ სულმნათმა კაცმა ყველაზე ცოტა 5-6 ოჯახი მინც გადაარჩინა გადაზავაგობრებას. შეტაკების შემდეგ საღამოთი ამოვარდა დამსჯელი ექსპედიცია — ათამდე კაცი, რათა გადაეწვავთ სოხუმის ქუჩაზე ის სახლები, საიდანაც თითქოს ტყვიებს ისროდნენ, მაგრამ, როდესაც ნახეს საკუთარი თვალით მათ ტყვიას შენირული სრულიად უდანაშაულო კაცი, უკან გაბრუნდნენ...

რაოდენ სამწუხაროა, რომ ოჯახს, რაიონს, მის მეგობრებს უდროოდ დააკლდა ერთი გულმართალი, საქართველოზე, თავის ნალენჯიხაზე უსახლვროდ შეყვარებული ადამიანი.

მაგრამ სიცოცხლე გრძელდება ბატონი რენოს ოჯახში და იმედი გვრჩება, რომ პატარა გიორგი, მამის ნამდვილი ალი-კვალი, ღირსეულად გააგრძელებს მის საუკეთესო ტრადიციებს.

**ალაიანის ტრაგიდიის გახსენება**



გონელი თორდია

ავტომანქანით... მონინალმდეგე იძლეოდა მიმართულებებს... ჩვენ რომ ძარაზე ვისხედით იმ „კამაზს“ ბაბუში თორდია მართავდა. გზაში გული ცუდს მიგრძნობდა, როცა ზოგიერთებმა ძარაზე გადასურული ბრეზენტი სათვალთვლოდ გაჭრეს, მე მათ ვუთხარი, რომ ეს არ შეიძლება, რადგან მტრისთვის უფრო თვალსაჩინო სამიზნე ვხდებოდით. აღარ დამიჯერეს. ზაჰვისის დასახლებაში ჩვენი უმცროსი ძმა ცხოვრობდა, როცა მიგუაზლოვდით ნიკოლოზს ვუთხარი: მოდი, გავაჩერებოთ მანქანა და აქ ჩავიდეთ-მეთქი, მაგრამ იგი არ დამთანხმდა. როცა ძმის საცხოვრებელ კორპუსს ჩავუარეთ, ორივე ძმამ, ერთმა წინიდან და მეორემ უკნიდან, ბრეზენტიდან თავგამოყოფილებმა ხმამაღლა დავიძახეთ ძმის სახელი. თურმე იგი იმ მომენტში ფანჯარასთან მდგარა და ორივე დაძახილი კარგად გაუგონია... ნახევარი საათის შემდეგ კი ჩვენ სიკვდილის პირისპირ აღმოვჩნდით.

აბუდნოდებულ ძველ გვარდელს, გონელი თორდიას ბატონ კოკოსთან ერთად პირველი შეხვედრისას შევეპირდი, რომ ვინახულებდი და უფრო სრულად ჩავინერდი მის მონათხრობს ალაიანის ტრაგიდიის შესახებ. მხოლოდ 5 თვის შემდეგ, 2006 წლის 2 მარტს მოვახერხე სოფელ ზედა ენერში მასთან კვლავ მისვლა.

აი, რა მიაბზო მან: ზედა ენერის იმ უბანში, სადაც თორდიები ვცხოვრობთ, მოსახლეობის უმეტესობა და ჩვენი გვარის ხალხი თითქმის მთლიანად საქართველოს პირველ პრეზიდენტს ვუჭერდით მხარს. პირადად ეროვნულ გვარდაბში თითქმის მის ჩამოყალიბებისთანვე შევედი, ვიბრძოდი აფხაზეთში კაკო ელიავასა და ანზორ ჩხეიძის ჯგუფებში, საჭიროებისამებრ ვმოძრაობდით ჩემი მოტოციკლით, შვილები იაგო და ედიკაც აფხაზეთში ჩემს გვერდით იბრძოდნენ... მანამდე პროფესიონალი მძლოლი ვიყავი, მექანიზატორად ვმუშაობდი ზედა ენერში. ომში სამოვარზე არ წავსულვართ, გული მიკვდებოდა ზოგიერთის უმსგავსო საქციელს რომ ვხედავდი. მე და ჩემი შვილები პატიოსნად ვიბრძოდით...



ნიკოლოზ თორდია

გზაში ბიძაშვილმა ვახტანგ თორდიამ ადგილი შემიცვალა და როგორც შემდეგ გაიჩვენა ამით გადამარჩინა კიდევ. ალაიანთან ჩასაფრებულებმა სროლა რომ აგვიტყვეს (როგორც ამბობენ, ისინი ნათაძის ხალხი იყო, „იმედის“ დაჯგუფების წევრები) ვიბრძოდა მაშინვე გაგვირებულიყავით და ბრძოლაში გამონევა მიგვედო, მაგრამ ოდნავ შეყოვნების შემდეგ ბაბუშმა ცხადა ჩქარი სვლით გაეღწია. ეს არ გამოვიდა და წინიდან შემოფრქვეული ტყვიების წვიმაში მძლოლმა ჩვენი მანქანა გვერდზე გადააყენა და ცალი მხარით თხრილი აღმოჩნდა (ამ დროს თვითონ ბაბუშიც დაიჭრა) ისეთიარად, რომ ჩასაფრებულნი ზემოდან მოგვექცნენ და განუწყვეტილად გვესროდნენ. ვახტანგს თავში მოხვდა ტყვია და მაშინვე ხმის ამოუღებლივ მოკვდა. ვხედავდი წინა „კამაზი“, რომელშიც რაცია იყო, ცეცხლის ალში გაეხვია. იქ არავინ არ გადარჩენილა. მერე

გავიგე, რომ უკანა „კამაზიც“ გაუნადგურებიათ... ჩვენი მხრიდან კაციშვილი ტყვია არ გაუსვრია... მანქანაში 15-ნი ვიყავით, იქვე სალიარკის სანავი გვეკონდა 200 ლიტრამდე, ტყვია რომ მოხვედროდა, ყველანი უტყვე ჩავიფერვლებოდით... ამას რომ ვყვები, ის მომენტია, როცა მანქანა თხრილშია ჩავარდნილი, ჩემი ძმა, ნიკოლოზი გვერდით მენვა, ამხანაგ-მეგობრებიც გვერდით ინვენ, ზოგიერთი ჩაძინებულიც კი იყო, დამენათენი, არც მოსულან აზრზე ისე მოხდა ეს. ფეხზე ტყვია რომ მოხვდა, ნამოვიყვირე სიმწრისგან და ძმამ დამიძახა, ხომ არ დაიჭერი. მე უარი განვუცხადე, მაგრამ რას გამოვპარებდი. მიხვდა და დაიძახა: ბიჭებო, ქართველებო, ქრისტიანები არა ხართ, დაჭრილი ვართ და გვიშველეთო, რომ არ დაეძახა იქნებ ცოცხალი გადარჩენილიყო, მაგრამ შველა რომ ითხოვა, მონინალმდეგემ დაიძახა კიდევ ცოცხლები არიანო და კვლავ დაგვყარეს ტყვიები. ერთმა ტყვიამ ნიკოლოზს თურმე გულში გაუარა... მაშინ იგი 42 წლის იყო. ბოლო სიტყვა აღმოხდა: მა დობლური, ჯიმა! (მე მოვკვიდი, ძმაო!) სიმწრისგან აბლაღვებულმა ბიჭებს გადავხედე, არც ერთი ხმას არ იღებდა და არ ინძროდა, მკვდრები იყვნენ. მერე აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მეორე მხარეს ყოფილა ერთი ცოცხალი, რომელსაც ბრეზენტი გაუჭრია და მანქანის ძარიდან გადმოვარდნილა. მე კი ვფიქრობ: თუ სიცოცხლე გინდა და გინერია უნდა გაჩერდე, თუ სიცოცხლე არ გინერია და მაინც უნდა მოკვდე რატომ ჩერდები, გვერდით ხომ იარაღები აწყვიდა მე-გვიდობა ესროლო... ვერ გავხედე, რადგან ზემოდან დამყურებდნენ და შეტოკებისთანავე დამცხრილავდნენ. გავიცნობიერე ეს და გაჩერდი. ირგვლივ ტყვიის ზუზუნია, მე გაყურებული ვარ და კვლავ ვფიქრობ: ეს მოკვდა, ის მოკვდა, მეც ახლა ტყვია ან თავში მომხვდება, ან სხეულზე და მორჩება ყველაფერი. ფეხი ერთიანად სისხლიანი მაქვს, მაგრამ ჯანდაბას, უფეხოდაც კარგად ვიგრძნობ თავს, ოღონდ გადავრჩე... ასეთ დროს, როგორღაც მდგომარეობა შეიცვალა, ძარაზე ამოვიდნენ სმხედროფორმის ახალგაზრდები და ერთმა ქვემოთ ჩამოთრევა რომ დამიპირა, მე თელი ძალით ავღრიალდი: ეს რა ქენით, რატომ დაგვხოცეთ ასე დაუნდობლად და ა. შ. ამ ამბავში რომ ვარ მინაზე დაგდებული დაჭრილი ჩვენი გვარდიელის ხმა მომესმა; ჩამოდი თუ არა შენც მოგკლავენო. გავჩუმდი, მანამდე მეც მესმოდა მონინალმდეგის ლაპარაკი: კიდევ ცოცხალი ყოფილა, ხომ ხედავ ნვალობს და რას უყურებ ესრო-



ვახტანგ თორდია

ლო. ამ ნათქვამს მაკაროვის რევოლვერის ცალკეული გასროლის ხმა ერთვოდა, ამრიგად დაჭრილებს თურმე საკონტროლო გასროლით კლავდნენ, მე ეს მესმოდა, ქვემოთ დაგდებული ბიჭი კი საკუთარი თვალით ხედავდა ყოველივეს... ამიტომაც გამაფრთხილა და მეც მაშინვე მივუხვდი. თურმე ეს სამხედროფორმისანები სხვები არიან, რომ დაგვხვდნენ ისინი კი დაქირავებული მკვლელები ყოფილან. მოკლედ, სიმართლე ისაა, რომ ამით დაგვინდეს. გადმომიყვანეს მანქანიდან და მინაზე დაგდებულის გვერდით დამანვინეს, მერე სასწრაფოს მანქანით წავიყვანეს. გზაში კვლავ ისინი დაგვხვდნენ, თავიდან რომ გვესროდნენ და დაჭრილებს ჯიბეები გადმოგვიტრიალეს, თუ რამ გვეკონდა ნაგვართვის... იმათშიც გამოერია ქრისტიანი, რომელმაც დაიძახა: გაუშვითო... მცხეთაში ქირურგიული საავადმყოფო რემონტში ყოფილა... მცხეთის სამშობიარო სახლში მიგვიყვანეს. იქ კარგად მოგვემსახურნენ... არასოდეს დამავინყდება მოხუცი ქალი ნაირა, რომელმაც დედაშვილურად მიგვილო და თავს დაგვტრიალებდა. ქირურგმა, რომელიც ქრილობას მიმუშავებდა, მკითხა საიდან ვიყავი და როცა გაიგო, თქვა მანდ მამჩამე, ალიოშა ლობჟინძე მუშაობდა ექიმადო. მეც მაშინვე გავიხსენე ალიოშა, ძალზე წარმოსადეგი კარგი ექიმი. ძალიან გამიხარდა მის შვილს ასეთ სიტუაციაში რომ შეხვდი. ცოტა ხანში იქ შეიარაღებული ხალხი შემოიჭრა, — ღრიალით აიღეს იქაურობა, ჩვენ რომ მეგობრები მოგვიკლა ისეთ არაკაცებს მკურნალობთო, მინდომები ჩვენი პალატაშივე ჩაცხრილვა, მაგრამ სწორედ ის ქირურგი, ალიოშას ვაჟი გადავგვფარა და დაგვიცვა. სახელი არც ვიცი მისი, მაგრამ სიცოცხლე კი შეგვიწარმოა!

თორდიას სახლში ვსაუბრობდით. იქვე სახელდახლო სუფრა გაშალეს და ნიკოლოზის შვილთან, ასევე გონელი თორდიას ნიკასთან ერთად, რომელიც ზუგდიდის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ყოფილა, პატივი მივაგეთ დალუპულ ვაჟკაცთა ხსოვნას.

თორდიების სახლიდან გამოსვლისას, გონელისა და ნიკოლოზის მამას შევხვდი, 80-ს გადაცილებულ ბრეზ მოხუცს, რომელმაც ისურვა ჩემი ვინაობის გაგება და მერე მითხრა: კარგია, შვილო, ხომ უნდა დარჩეს ხსოვნა!

— უნდა დარჩეს და დარჩება კიდევ!

თამაზ ფიფია  
2006 წ.

**მინა მშობლიური იაკვანეთი...**  
(ალაიანთან დახოცილი ბიჭების დატირება)  
შესძრა საქართველო მწარე ელდამ, კვლავაც მოძმისგან შხამი შევსვით...  
რა ბედუკეთურად გავითენდა, დილა ცხრა აპრილზე უარესი... ვაი, კანური ცოდვის ჩამდენს! ხარობს ძმათა ომის გაჩაღებით...  
ზაკვით მძინარეთა მიეჯარნენ, გმირებს ნიღბოსანი ყაჩაღები. ფლასი შემოველო  
კოლხურ ოდას, ქართლი ჩამოხნულდა უკუნეთით...  
რა საბედისწეროდ განმეორდა, წელი ათას ცხრაას ოცდაერთის...  
რალა ესაშველოთ შვილმკვდარ დედებს!  
შავად გაუშლია ფრთები დემონს...  
ერთგულებისათვის გაგიმეტეს, ჩვენო თმაქოჩორო რაინდებო! ვაიმე, ჭიროო დათმენილო, ერო უბირთავან დალახვრულო, რწმენავ, ურწმუნოთავან გათელილო გულო, უგულოთავან დამარხულო!  
სულმა ვით გაუძლოს გაუსადლისს, დედამ ვით იგლოვოს საფიცარი...  
მამულს ფერფლიანი ცრემლი აწვიმს, ღმერთო, საქართველო დაიცავი!  
— ვა, ვოოო!.. — მოთქმა მისდევს მრუმე სერებს, გლოვა აშავფერებს ნიაქარებს...  
— შვილნო, სიყვარულით განისვენეთ!.. მინა მშობლიური იაკვანეთი!..  
**ოპარ გოჩალაშვილი**

უკანასკნელი მონოლოგი

მერაბ ქარდავას სსოვნას



სამეგრელოში „მხედრონის“ მკლავრობისას, სასიკვდილო მუქარის მიუხედავად, 29 წლის ქაბუკი მერაბ ქარდავა მოძალადე ცრულდემოკრატიულ სეპარატისტულ მთავრობის მამხილებელი მითინგებზე ქალაქ ჯვარში.

ცობილია, 1992 წლის 20 მაისს, ჯვარში გამართულ მითინგზე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსის წაკითხვის გამო, მერაბს, იმავე დღეს, შინ, ფოცხო-ენერის ბინაში მიეჭრნენ და „მხედრონელმა“ იგი საშინელი წამებით მოკლეს.

მენერებოდა, — დავნერე ლექსები ომხიანი, ცხელი გულისხმა გავბასრე სტრიქონთა რვალით, ფხიანი, მამულიშვილთა სახობტოდ კალამი მქონდა მზიანი, მსურდა ორგულთა „ბნელიცა“ რომ მისდგომოდა ზიანი. როგორც შემედლო ვეომე ცრულდემოკრატია ბეღადი, ხანჯლებერ სიქსიქა ბნკარები მათ ყელთა გასწვრივ ელავდნენ, მძულდნენ მამულის გასაჭირს, რომლებიც ველარ ხედავდნენ, ხალხის სახელით ლაპარაკს დიდის რიხით რომ ბედავდნენ... საზარელ იმით საქმეებს ვით შევხვდებოდი სიმშვიდით, მემუქრებოდნენ და მაინც მათ ლანძღვას ველარ ვიშლიდი, ხალხში არჩენვის მფეროდა და პრეზიდენტის სიდიდის, მამულის ნების ერთგული იმედებს გულში ვიზრდიდი. მუდამ წრფელს, მართალს და მედგარს, რატომ ბედი არ მწყალობდა?! ავაზაკთ ავად ნაფიქრი თურმე ჩემს სიკვდილს ლამობდა, ჩემი დახვედრა — პასუხი მათ ზრახვას ვერ მოალობდა, ხერვის ნუ გამოეცადოს რაც მუ ვიგემე სალამბა. შინ შემომეჭრნენ, მანამეს, გამოაღმასეს ეშვები, ოცნი ჯგროდ შემომხევიდნენ, მკლავდაპკლავ მაინც შევები, კონდახით, ხიშტით, ხანჯლებით მჯიჯგინდნენ, როგორც დევეები, დამტოვეს თითქმის უსულიო, ნაბორგი, ანაღევეები. უკვე სისხლისგან ვიცილები, არა ჩანს ირგვლივ არავინ, თავზე დამადგა ნყვდიადის დუმილი გულემზარავი, ძმებო, მართალი ვიყავი, სიმართლის გზების მკვალი, გულისხმის ამ სიდიადის დროც ვერ გახდებდა მზარავი!

თ. ფიფია. 1993 წ.

საქართველოს გაუმარჯოს, ზვიად!

შენით ხარობს დღეს ქართველი ერი, ვაჟკაცობა ასეთ საქმეს ჰქვია, ვერ გაშინებს მუხანათი მტერი და ვერც მისი მახვილი და ტყვია! ჩვენი ერის წმინდა ქართველობა შენ გენდობა ქეშმარიტად, — ფრიად. გაქვს ხალხისგან და ღვთისაგან ნდობა, საქართველოს ქომაგი ხარ, ზვიად! ინვეები და ერისათვის დნები და ანათებ ქართველთათვის წყვდიადს, ქართველობას გაუნათე გზები, საქართველოს სახეთელი ხარ, ზვიად! სიმართლისთვის ბევრჯერ წამებული საქართველოს ბედს დაქებ დადას, შემოგნირე გული ანთებული, საქართველოს გაუმარჯოს, ზვიად!

მერაბ ქარდავა

ამ ლექსში გაცხადებული დიდი სიყვარულის დასტურად, მერაბ ქარდავამ გულიცა და სიცოცხლაც შესწირა საქართველოს და მის პირველ პრეზიდენტს.

წლეულს, 2 სექტემბერს, მერაბ ქარდავას 50 წელი შეუსრულდებოდა.

\*\*\*

უნმინდურნი სანთელებს ანთებთ, — არც გრცხვენიათ? ნუთუ მართლა რას აკეთებთ არც კი იცით?! მომიძებნეთ ღვთის კანონში სად წერია, საქართველო შედგებოდა ძმთა სისხლით! მშობელ ერში ავტომატით რომ რაინდობთ, დაგიჯეროთ, აღარა ხართ ლანძღვის ღირსი? ტყვიით ხოცავთ მართალ ხალხს და არც ღმერთს ინდობთ, არც რწმენა გაქვთ, არც კაცობა, არც სინდისი!

მერაბ ქარდავა



„მთავრობა ხშირად შედგება ბანდიტებისაგან ხალხი კი — არასოდეს“ (გოეთე)

„ვიკებლიტ გზებს საზოგადოებაში არსებული გზარის განსამთლიანებლად“

გაზეთ „ნალენჯისის ზარებში“ დაბეჭდილი ამ მასალების უმეტესობა და სხვა მრავალი არანაკლებ მნიშვნელოვანი პუბლიკაცია გახდა საფუძველი ჩემი დაპატიმრებისა. განთავისუფლების შემდეგ ინტერვიუს ასალებად დამიკავშირდა გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“. მომზადდა შემდეგი ტექსტი:

(ინტერვიუ, რომელიც არ გამოქვეყნდა)

მ ერთი თვის წინათ, 1994 წლის აპრილში, ჩვენი კოლეგა დაპატიმრების წალენჯიხის ნესრეგის დასამყარებლად დისლოცირებულმა რესპუბლიკის პოლიციის ორგანოების მუშაკებმა. ამის შესახებ ეთერში გადაიქცა უცხოეთისა და საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებების მიერ. მოკლე ინფორმაცია დაბეჭდა გაზეთმა „ახალმა თაობამ“.

იმ მოსაზრებით, რომ გაჩვენოთ, თუ რა უხეშად ირღვევა ზოგჯერ ჩვენში ადამიანის უფლებები, გადაეწყვიტეთ ამ ინციდენტზე უფრო ვრცელი ინფორმაცია მივიწოდოთ მკითხველებს. გთავაზობთ ინტერვიუს „ნალენჯისის ზარებში“ მთავარ რედაქტორთან, ჟურნალისტ თამაზ ფიფიასთან, რომელიც ახლაჰან გაათავისუფლებს.

— როდის და სად, რის საფუძველზე მოხდა თქვენი დაპატიმრება. რა ვითარებაში და ვის მიერ იყო გაცემული სანქცია. ხომ არ იყო, ეს ძალიან მთავარი ორგანოების თვითნებური მოქმედება?

— დამაპატიმრეს 3 აპრილს, შინ, წალენჯიხის მშობლივან ყოფინასა. წინაპარი წიხლით შემოანგრეეს და ავტომატმომარჯვებულებმა ხელები ამასწვინეს. ზოგიერთი პოლიციელი ზომზე მეტად შეზარხოშებული იყო, განსაკუთრებით კი მათი ხელმძღვანელი, პოლიციის კაპიტანი მხედი, რომელიც რატომღაც ძალიან უხეშობდა. კიდევ კარგი, რომ ავტომატების სროლა არ ატყვეს და ავადმყოფი, მოხუცი მშობლები მოთადარ გააგაფეს. მაშა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, დედა არანაკლებ დანაშაული მასწავლებელი და მათ შარშანინი, ივლისში რამდენჯერმე ინვნიეს სამთავრობო სამხედრო ფორმირების მიერ შინ შემოჭრის, ოთახებში ავტომატების კაპანისა და განუკითხავი ძარცვის სიმწარე. ახლაც ორდერის გარეშე გაჩხრიკეს მთელი ბინა. ვითომც ექებდნენ იარაღს, ავროვებდნენ კი ხელნაწერებს და პოლიციის განყოფილებაში წამოიღეს, მერე სამორიგეოში აღურიცხავად დალუქეს და მაღორედ დას, ჩემს დაუსწრებლად, გაუხსნიათ კიდევ. პირადად, ბრალდების გარეშე ჩამგზავნეს საკანში... მითხრეს, რომ ორ-სამ დღეში გაერკვეოდნენ დასაპატიმრებელი ვიყავი თუ არა (!), ეს „ორი-სამი დღე“ მე-17 დღემდე გაგრძელდა და ისეთი მთავრული მხარე შექმნა, რომ მათ ასევე „წარმატებით“ შექმლოთ გაეჩერებინე კიდევ რამდენიმე ათეული დღე... როგორც მითხრეს, საქმის შემდგომ მსვლელობაზე საზოგადოებრივმა აზრმა მოახდინა ზეგავლენა.

რისთვის დამაპატიმრეს ჩემთვის დღესაც ძალზე ბუნდოვანია. „ნალენჯისის ზარების“ რედაქციის მუშაკები საქმიანობისას ვხელმძღვანელობდი საქართველოს რესპუბლიკის კანონით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ. გაზეთი არსებული წესისამებრ იყო რეგისტრირებული. გამოვიდა 13 ნომერი და საკმარის პოპულარული გახდა, რადგან რეალურად ასახავდა სამთავრობო სამხედრო ფორმირებებში არსებული ბანდების მიერ წალენჯიხისა და ნანძოლოში სამეგრელოშიც ჩადენილ შემზარავ დანაშაულებებს, ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეული რაიონის უმძიმეს მდგომარეობას, თანაც ვეძებდით ვხვდებოდა მსხვილი ნაწილის ბზარის განსამთლიანებლად. ცხადია, ეს არ მოსწონდა ზოგიერთს, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ მსჯელობა უფროდ საჭირო იყო და მიმავალშიც სათქმელი ბევრი რამ იქნება. მხილება კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რათა შევბა იგრძნონ უსამართლოდ დაჩაგრულებმა. ხელისუფლებამ კეთილი ინების და უწინარესად კრიმინალურ დანაშაულებებს პასუხი მოსთხოვოს... ჩემი დაპატიმრებისათვის კი არავითარი ლოგიკური მიზეზი არ არსებობდა, რამეთუ ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის თავი არ ამიერიდებოდა. ჩემი ადგილსამყოფელი თბილისსა და წალენჯიხისში და ტელეფონებიც ყოველთვის ცნობილი იყო დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის რესპუბლიკის პროკურატურის ერთ-ერთ იმ თანამშრომლისათვისაც, ვალენჯიხისში ამ ამბებს რომ იცობდა. ჩხრეკის შედეგადაც არ აღმოაჩინდა ძიებისათვის საინტერესო არავითარი მასალა... სანქცია არ გაცემულა და

მანაც არ მიშვედნენ. ყოველივე ამაში ვისი თვითნებობის რა ნულილია, განთავისუფლების შემდეგაც კი აღარ განმმარტეს. ერთი კი უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, პოლიციის წალენჯიხის რაიონულ განყოფილებაში კარგად მექცეოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ უსამართლოდ ვყავდით დაკავებული.

— თქვენ მხარს უჭერდით ყოფილ ხელისუფლებას, ეს ფაქტია, ამის უარყოფა არ იქნებოდა მართებული, რადგან ადამიანის განსჯა თავისი პოლიტიკური მრწამსისა და იდეების გამო არაფრით არ შეიძლება.

ეს თვით ადამიანთა უფლებების დაცვის დეკლარაციაშია მითითებული, მაგრამ ვაკანტირებებს, გარდა ჟურნალისტური და პოლიტიკური მოღვაწეობისა, ენეოდით თუ არა სხვა საქმიანობას, უნდაც წინა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დაბრუნების პროპაგანდას?

— ვინც შეცდომად მიიჩნევს თავის განვლილ გზას და უარყოფს თავის მეხედულებებს იმის გამო, რომ „ძლიერი ამი ქვეყნისანი“ შეიცვალნენ, იგი მონად და ფარისევლად არის დაბადებული. ასეთნი დროებით ყველა ხელისუფლებას სჭირდება, მაგრამ საბოლოოდ კი უღირსებონი დარჩებიან, ისევე, როგორც ისეთი ქართველი, ადრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით რომ იყვნენ აღფრთოვანებული, ახლა კი გაყურებული თავს უკანატურებენ იმათ, რომლებიც თავისუფლებისათვის ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელს უშეგერებენ... ან კიდევ უარესი, ახლა თვითონვე აგინებენ იმათ, ადრე უკან რომ მოჰყვებოდნენ... პოლიტიკური მრწამსი და იდეები შეიძლება შეიცვალოს უმნიშვნურად ახალგაზრდამ, ხოლო გონებადამჯდარი კაცისგან ასეთი რამ მხოლოდ თვალმამოქობაა, რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, მიმართა, რომ პირადად ვეწვიდი მხოლოდ ჟურნალისტურ საქმიანობას და ჩემი პოზიციით მხარს ვუჭერდი მიტომაც, რომ დამაპატიმრებლად მიმანდა და ამჟამადც მიმანია ყველა, ვინც იარაღი აიღო საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინააღმდეგ, — ვინც დავლარა ქართველთა სისხლი.

გაზეთში ვწერდით: „ქართველმა ერმა ერთიანი ნება გამოხატოს საყოველთაო რეფერენდუმითა და ხელახალი არჩენებით.“ ამჟამადაც ვფიქრობ, რომ ხელისუფლების შეიარაღებული გზით დაბრუნების ყოველი ცდა მხოლოდ უხედიერების მომტანია საქართველოსთვის. ქვეყანა ლეგიტიმურად არჩეულმა ხელისუფლებამ უნდა მართოს.

— ექსპრეზიდენტის მხარდამქვერთა დამარცხების შემდეგ რა ბედი ენია თქვენს გაზეთს, ალბათ შეწყვეტა გამოცემა.

— არ მიმართა სწორად გამოთქმა ექსპრეზიდენტი, რადგან სანამ არჩენის ვადა გავიდოდეს, ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად დარჩა და იგი საქართველოს პრეზიდენტად დაიღუპა. ეს რეალობაა და არ კმარა სურვილი, რომ ასე არ გვსურდეს ვეთვათ. ხოლო პრეზიდენტის მხარდამქვერ შეიარაღებულ ფორმირებათა დამარცხებას ჩვენი გაზეთის თანამშრომლები არ დაულოდებდებოდნენ. ვერ კიდევ სექტემბერში, როცა სამოქალაქო ომის საფრთხე შეიქმნა და აფხაზეთშიც ქართული დაპირისპირებული მხარეების კონსოლიდაცია ვერ მოხერხდა, სტამბის ფუნქციონირება შეწყდა. ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ჩვენ არ გვსურდა მონაწილეობა მიგველო დაპირისპირების შემდგომ ესკალაციამ. მშვიდობიანი დიალოგისათვის თუ შესაბამისი პირობები შეიქმნება „ნალენჯისის ზარებს“ ჯერ ბევრი რამ დარჩა სათქმელი.

— ჩვენს რესპუბლიკაში გადავლიდა ქართველებმა ხომ არ შეცვალა თქვენი მრწამსი ან განწყობილება. ახლა დროის გადასახედიან როგორ აფასებთ თქვენსა და თანამაზრეთა მოღვაწეობას. ისევე კვლავ პოზიციამ რჩებით თუ ბევრ მოვლენას სხვა თვლით შეხედეთ?

— ჩემი მრწამსი გულმოდგინედ ჩამოვაცალიებ „ნალენჯისის ზარების“ პირველ ნომერში და მას არ გადავუხვევ, რამეთუ საქართველოსადმი ერთგულმა მიმანდა და მიმართა ცხოვრების უმთავრეს მიზეზად, ხოლო ხალხის აზრი — სიმართლის უმ-

თავრეს დგრიტად. იქ ვწერდი: „მოვლენები უნდა გაანალიზდეს ობიექტურად, აღზევდეს სამართლიანობა და ურთიერთდაპირისპირების თანდათან აღმოფხვრით გამოვიდეთ კატასტროფული მდგომარეობიდან.“ ეს ასე რომ არ მოხდა, ვადანაშაულებენ. ფაქტობრივ ხელისუფლებას... ჩემი აზრით, მას ამის შესაძლებლობები შექონდა. ცხადია, განწყობილება დიდად შემიცვალა. ან კი ქართველ კაცს აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ კარგ განწყობილებას რა შეუქმნის. ასე მგონია, მაშინ რომ გულმა დაინია, თავის ადრინდელ მდგომარეობას ვერც ვერასოდეს დაუბრუნებდა. თანაც არც სამაჩაბლოში ვაქცეს ბევრად უკეთესი მდგომარეობა.

ჩემი თანამაზრენი მხოლოდ ისინი იყვნენ, მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლით რომ ცდილობდნენ კანონიერების აღდგენას. დღესაც იმ პოზიციამ ვერჩები, რომ შეუძლებელია ხალხს კეთილდღეობა მოუტანოს ძალადობით მოსულმა, ანდა თუნდაც ძალადობის ფესვებზე აღმოცენებულმა ხელისუფლებამ. აუცილებლად მიმართა ხელისუფლების შეცვლა ხელახალი სამართლიანი, გაუყალბებული არჩენებით.

დღევანდელი გადასახედიანი ისე ჩანს, რომ მეტი გონიერება გემართება სამშობლოს წინაშე, ყველა ჩვენგანმა უნდა ეძებოს საკუთარი შეცდომებიც ქვეყნის დაქვევით დანაშაულში, უნდა მოიშოროს ისეთი გონიერი, თითქოს მართალია მხოლოდ თვითონ და სხვების ლანძღვა-გინების უფლებაც აქვს... ჩემი აზრით, უნდა შეწყდეს ურთიერთშურიტოვანი შხამის ნიაღვარი, რაც ახლა მძევნვარებს და უფრო გულმომწყალებ, ფაქტების ენით, ლოგიკური აზრით ველაპარაკოთ ერთმანეთს და მომავალში მაინც შევეცადოთ მართალნი ვიყოთ. დამნაშაულებს კი პასუხი უნდა მოთხოვრთ თვით ქართველმა ხალხმა, ახლადარჩეულმა პარლამენტმა, და არა ხალხის სახელით მოლაპარაკე ენ. ელიტამ.

ესაუბრა მიკო ჭანისპირელი

ეს ინტერვიუ მომზადდა 1994 წლის მაისში და არ გამოქვეყნებულა. მისი კასტირებული ვარიანტი მოამზადდა „ახალგაზრდა ივერიელის“ კორესპონდენტმა, რისი წინააღმდეგეიც ვიყავი და არც ის დაბეჭდილა... კორესპონდენტს არც საკუთარი გვარის გამხელა სურდა.

აი როგორი „თანადგომა“ გამოავლინა კოლეგისადმი „ახალგაზრდა ივერიელმა.“

გაზეთი „ნალენჯისის ზარები“ (III. 1999 წ.)

ვერვის დააღუბეს ზარებს!

თ. ფიფიას — პატიმრად მყოფ ძმას და მეგობარს

ხუნტამ მოიქცინა ტორი — ციხეში ზის რედაქტორი. სისპეტაკით უფლის სწორი — ციხეში ზის რედაქტორი. ვერ არისხებს ჯვრაც ზარებს, ცივად უმზერს რკინის კარებს. ფიქრს მძალით აელვარებს... ვერ არისხებს ჯვრაც ზარებს. ზეიმი აქეთ არაკაცებს — საგარძელთ რომ ხელი სტაცავს. თახსირს, თაღლითს, მრუდს და გამცემს —

ზეიმი აქეთ არაკაცებს... ვაგლახ, ვინ ვის ატუსაღებს, ვინ ვის უგებს მაცდურ მახეს, რითაც აწენს ნამდვილ სახეს, ვაგლახ, ვინ ვის ატუსაღებს! ვის სინძინდეს ჩიჩქის ღორი? თავად მყარალი, როგორც მძორი, უნამოსო, ქვეშ-ქვეშ მძორი — ვის სინძინდეს ჩიჩქის ღორი?! გაიხადეს მოყვრად მტერი, გახდნენ მისი ფეხის მტყვერი, ხვალ დადგება მათი ჯვარი — სხვას იჭერი თვით დასაჭერი... მე მივემართე პეზარებს — ვერვი დააღუბებს ზარებს! სიმართლის ხმა იზანზარებს — გამოამტყვევს ციხის კარებს — უმიწოდეთ არამზადებს!

რ. კოლხი. 15.04.1994 წ.

# ნალენჯის ღირსების დასაცავად!



ზაურ კაკაჩია

უჭირს ივლისის ტრაგიკული დღეების გახსენება. საშინელებას, პატარა ნალენჯისამ 20 წლის წინ რომ გადაიტანა, ალელების გარეშე ახლაც ვერ იხსენებს, ცრემლი ეძალეება და გულიც ეკუმშება. სიტყვაძუნძილად, უბრალო და უპრეტენზიოა...

მეორე შეხვედრის დამთავრებამდე ერთი კვირა იყო, რაც თავს გადახდა იმ ავბედით დღეებში.

„ჩემი მოგონებები პრესაში გამოქვეყნდაო ნების წინ, მაგრამ კიდევ რაღაცეები მაქვს სათქმელი“ — ასე დაიწყო თხრობა სასწრაფო დახმარების ყოფილმა მძღოლმა ზაურ კაკაჩიამ.

— 4 ივლისს „მხედრიონი“ ნალენჯისაში რომ შემოიჭრა, მე და ცხონებული გულად ღვინჯილია საავადმყოფოში ვმორიგეობდით. ორივენი სასწრაფო დახმარების მძღოლად ვმუშაობდით. იმ ღამეს (ე.ი. 5 ივლისს), ჩვენს გარდა, საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: ექიმი ლუდორ ჭიჭინაძე და მუშა მძღოლები. რაც შეეძლო გულად ღვინჯილიას, სახეზე ნერვიულობას ვაჭყობდი, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ხშირად, ღამით გარეთ გადადიოდა, მერე კვლავ შემოდებოდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ მოუსვენრობა აშკარად ეტყობოდა. მე ვერაფერს ვეზღებოდი, თურმე ცხონებულმა იცოდა, თურმე დაინახებდა იერიში ინტერნეტზე...

იქნებოდა დაახლოებით ღამის 12



„მხედრიონელთა“ ნააგვაციარნი წაღწევისას

საათი, როცა ჩემთან ოთხი უცნობი ახალგაზრდა მოვიდა. სასწრაფო დახმარების მანქანა რამოდენიმე საათით უნდა გვათხოვოთ, — ეს ისეთი უკლონი იყო ნათქვამი, მოთხოვნას უფრო რომ ჰკავდა, ვიდრე თხოვნას. ლუდორს შევხედე, მანიშნა მიეციო. ახალგაზრდებმა მანქანა ეზოდან სწრაფად გაიყვანეს და ღამის სიბნელეში გაუჩინარდნენ...

დილის ოთხის ოც წუთზე უცნობებმა სასწრაფოს მანქანა დააბრუნეს, ყველაფერი რიგზეყო, მხიარულად მითხრეს, მადლობა გადაგიხადეს და წავიდნენ. მანქანა რომ დაავთვალე, გაოცებული დავრჩი, კაბინაში ახალი საბურავები აღმოვაჩინე, ავზი კი ბენზინით იყო სავსე...

ხუთის ხუთ წუთზე პირველი ტყვია გავარდა. ნალენჯის ტერიტორიის გრიალმა, ავტომატების კაკანმა, ხელყუმბარათა აფეთქებებმა შეძრა მთელი ნალენჯისა...

დილის საათებში საავადმყოფოში მთავარი ექიმი ზაურ გვასალია მოვიდა. მან ზუგდიდიდან სასწრაფო დახმარების მანქანები გამოიძახა. სამი მანქანა მოვიდა. იმ დროისთვის ისეთი ინტენსიური სროლები მიმდ-

ნარობდა, რომ ინტერნეტის მიმართულებით მოძრაობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ასეთ რთულ ვითარებაში ზუგდიდიდან მძღოლებმა მართლაც ვერ გარისკეს. მთავარმა ექიმმა მომართა, ინტერნატიდან დაჭრილები გამოსაყვანი და შენი იმედი მაქვსო. თეთრი ხალატი გადავიცვი და იმ დღეს ექვსი-შვიდი რეისი გავაკეთე. დავებ კვარაცხელიას სახლთან დაჭრილი ავიყვანე, შემდეგ ინტერნეტის ეზოში შევედი. პირველი რაც ვნახე დახოცილები იყვნენ, ზღუდესთან ოთხი

კაცი ცალ-ცალკე ეგდო. მათ სახეზე მრავალი ნაწყვიარი ემჩნეოდათ... უცბად ერთი ავტომატმომართული ახმახი, რომელიც რაღაც ბრძანებებს იძლეოდა, ჩემკენ შემობრუნდა, გინებით დედ-მამის სული ამომიტრიალა და დამიყვარა: რას გაქვავებულხარ, ნადი და სასწრაფოდ მოიყვანე ექიმები შესახვევ მასალასთან ერთად, თორემ საავადმყოფოს ავაფეთქებთო...

გამოვბრუნდი და ზაურ გვასალიას მოვახსენე რასაც მოითხოვდნენ... წამოვიყვანე: ვახტანგ შელია, ლუდორ ჭიჭინაძე, ეთერ მოლაშვილი, ნაზი ნანავა, კლარა საჩიბაძე და ლენა კალანდია. სკოლა-ინტერნატი რომ მივუახლოვდით, სროლები შენედა. ყველანი ეზოში გადავიდით. დაჭრილები ცალკე გავიყვანეთ, ექიმებმა შეხვედრები დაიწყეს, მე კი ისინი საავადმყოფოში გადაწყვიტე...

რამოდენიმე საათის გასვლის შემდეგ საშინელი სროლების ხმა გაისმა, თურმე მასველი ძალა შემოდოდა ჩხორწყუს მხრიდან. ერთდროულად ცენტრალურ სტადიონზე ვერტმფრენი დაეშვა, რომელიც დახოცილები წაიღეს. ასეთ ფორიაქში ჭადრებთან შევნიშნე ოთხი მკვდარი, რომლებიც აღმოჩნდნენ ზუგდიდელი და ნალენჯიელი ვაჟკაცები: ბიჭა შენგელია, გურამ ფიფია, ნუგზარ ძვამაძე და მურთაზ მიქავა. მახსოვს ოცამდე მკვდარი შემომატანიეს ეზოდან დაღვრულ

ჭიშკართან დაცხრილები სახანძროს მანქანა იდგა. როგორც ამბობენ, საკალანდოს უბანში, ბენზინის ჩასასხმელი სვეტიდან ამ მანქანის წილის ავზში გადაუქაჩათ ბენზინი, შემდეგ სახანძროს მანქანა ინტერნატს მიუახლოვდა, მაგრამ ძლიერი სროლების შედეგად ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, ალბათ მძღოლმა ვერ გარისკა. ჩანაფიქრი კი ასეთი იყო: წარმატებული შტურმის შემთხვევაში, ე.ი. „ბუნკერში“ ბენზინს ჩასახამდნენ და შიგ მყოფ „მხედრიონელებს“ თავიანთ ლიდერთან ერთად ჩანვავენ...

აოხრებულ ნალენჯისას თავს დაატყდა საშინელი ტრაგედია, იყო მოსახლეობის არნახული ძარცვა-გლეჯვა, დარბევა, შეურაცხყოფა, მრავალი სისასტიკე, დევნა, შევიწროება... მთელი ძალაუფლება „მატაცი დემოკრატიის“ — იოსელიანის ხელში გადასულიყო...

ახლა არ მახსოვს რომელი რიცხვი იყო. გამოვიძახე ზაურ გვასალიამ. საავადმყოფოს უბანში რომელიღაც ნომრით მასველი დაეშვა, მაგრამ ზაურ გვასალიამ განაგრძო და დახმარება მთავარი ექიმის დახმარებით მოახდინა. საავადმყოფოში მოვიყვანე და მძღოლები მათთან ერთად დარჩნენ. მათ მთავარი ექიმის დახმარებით სროლები შეწყვეტეს. მათ მთავარი ექიმის დახმარებით



ნალენჯისის შემდეგ ასეთი სახლები მომარაგლდა ნალენჯისაში

— ობუჯის გზის მონაკვეთი როგორი დაზიანებული იყო, ამიტომ საჭირო სიჩქარე ვერ განვავითარე. ალბათ, ამიტომ მოეჩვენათ „მხედრიონელებს“ საკმაოდ გრძელად მანძილი და ანერვიულდნენ. კიდევ მორიაო, იკითხეს. ნოდარ ხაჩატურიანის სახლს რომ გავუფრინდით, ხელით ვაჩვენე ჭანისწყლის გალმა, მარცხენა მხარეს, მდებარე ტყის მასივი, — აი, იქ მივდივართ-მეთქი. „მხედრიონელებმა“ ერთმანეთს გადახედეს, ავტომატები ააყლარუნეს და გაჩერება მიბრძანეს. ჩვენ აქ დავიცვით და სწრაფად მობრუნდით. ჩამოხტენ და მოურიდებლად ხაჩატურიანის ჭიშკარი ნიხლებით შეაღეს. დრო არ ითმენდა, ამიტომ სიჩქარე მოვუმატე, მაგრამ ერთი აზრი ამეკვიტა და არ მომასვენა: რას იფიქრებს-მეთქი ხაჩატურიანი, ზაურ კაკაჩიამ „მხედრიონელები“ მომიყვანა, თვითონ კი თავს უშველო... ცუდ გუნებაზე დავდექი...

საბჭულადოების ხილისათვის სასწრაფოს მანქანა შევაჩერე. მუშობარე ქალი მოწყვდათ ურმით. ყველანი მივეშველეთ, მანქანაში მოვათავსეთ და უკან გამოვბრუნდით. მალე იმ ჭიშკართან შევჩერდი, სადაც „სტუმრებმა“ მოისურვეს გაჩერება. შიგნიდან შესულს ასეთი სურათი გადავხედე: თვალწინ: გაფითრებული ნოდარ ხაჩატურიანი კედელთან იდგა შემებლული, გაშლილ სუფრას კი „დემოკრატიის“ შემოსხმულდნენ და ღრუბდნენ. ბიჭებო, ცოტა აგჩქარდეთ-მეთქი, — ვუთხარი მათ. ახლავო, თითო ჭიქა ღვინოს გადავკრავთ და მოვდივართ, მითხრეს საკმაოდ შეზარხობებულმა. ნოდარს ორივე სიტყვით აუფხსენი სიტუაცია... მოულოდნელად „მხედრიონელებმა“ ავტომატი გაჩაჩქარეს და დაგვიყვირეს: გყვით მეგრული ბაზარი, თქვენი მეგრული დედაო...“ შეგავანეს...

როგორც იქნა, ჭიშკარს მივუახ-

ლოვდით და ქუჩაში უნდა გავსულიყავით, რომ უცბად შემობრუნდნენ და მითხრეს, ქაღალდის მიწიერით მიიყვან, აქეთ მობრუნდები, ჩვენ კი აქ დავრჩებით შენს მოსვლამდე, მასპინძლის მშვენიერი ღვინო მოგვენოთ, — თქვეს და შებრუნდნენ.

მოსალამოვდა, საავადმყოფოში მივმართე. ქალი საშინელი ტრაგედია მოგიყვანეს. ეზოში „მხედრიონელები“ იდგნენ. უცბად სამი „მხედრიონელი“ მომეჭრა მუქარითა და გინებით: სადა არიან ჩვენი ძმები, ალბათ მტრებს ჩაუვარდნენ ხელში, ახლავე აქვე დაგხვრეტო, და ავტომატი შემართეს. მე დავუწყე მათ იმის მტკიცება, რომ იმ ორს საფრთხე არანაირი არ ემუქრებოთ, ერთ ოჯახში არიან და თუ ჩემი არ გვერათ, შემოიღია წაგვიყვანოთ და თავად დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში-მეთქი. სამივე ჩამიჯდა მანქანაში და წავიდნენ. ხაჩატურიანის ოჯახში რომ მივედი, ერთი გენახათ, ამით როგორ გაუხარდათ ამხანაგების ნახვა. მოღბნენ და მადლობა მთავარ ექიმს გადაგიხადეს. მერე როგორც იქნა მოვრჩენე ქვიფს და წამოვიღე...

საავადმყოფოს მეორე სართულზე, ქირურგიის განყოფილებაში, სამი დაჭრილი „ზვიადისტი“ ინვა.

ღამით მოვიდნენ „მხედრიონელები“. ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებდა, ექიმი ვარო. იკითხეს, დაჭრილები გყავთ თუ არაო. ვიუარეთ, უკან გაბრუნდნენ. ლუდორ ექიმმა თქვა, ჩვენც დაგვხვდავენ, თუ შეიტყვეს დაჭრილები რომ გყავდნენ. დაჭრილები გადავიყვანოთ საშინელი განყოფილებაში, იქ კი „მხედრიონელები“ წამდგომოდან არ შევიქნეთ, — საკუთარი აზრი დაავიწყდათ მთავარმა ექიმმა.

დაჭრილებს ეს რომ შევაცხოვინეთ, სახეზე უკმაყოფილება დაეცყო, შორს დაიჭირეს, ერთმა კი ალექსანდრე ხაჩატურიანი წამოვიწია, მათ შევამჩნიე და ვიყავი ისეთივე, როგორც ისეთივე ვიყავი. მათ შევამჩნიე და ვიყავი ისეთივე, როგორც ისეთივე ვიყავი. მათ შევამჩნიე და ვიყავი ისეთივე, როგორც ისეთივე ვიყავი.

ზაურ გვასალიას მივმართე, თუ ნებას დამრთავთ, ბიჭებს უსაფრთხო ადგილას გადავიყვან-მეთქი. ბოლოს ექიმები დავითანხმე. ვახტანგ შელიამ ბიჭებს ჭრილობები შევხვია და ვიან ღამით საავადმყოფოს ტერიტორია დავტოვეთ. ჩემს სახლში მივიყვანე დაჭრილები. სამივენი დავაპურე და დავასვენე. ერთმა მათგანმა მითხრა, შესაძლოა აქაც მოგვადგნენ, ამით შენც თავს ხიფათში ჩაიგდე, ოჯახს აგინოკებენ, ისინი ხომ ყველაფერზე არიან წამდგომელინი. ამიტომ, თუ ძმა ხარ, ჰქენი კიდევ ერთი სიკეთე, ნაგვიყვანე ჯისაშკარაში, შელიას ოჯახში.

მეჩქარებოდა, რადგან ახლოვ-

დებოდა ალიონი. ბიჭებმა ბენზინი ჩამისხეს მანქანაში, მერე გამოვეშვივით ყველას და სასწრაფოდ გამოვბრუნდი უკან.

თენდებოდა. ქალაქის ცენტრში, უტუ მიქავას ძეგლთან, მოულოდნელად გამოჩნდა „მხედრიონელებმა“, დამეჭრნენ, დამიწყეს ცემა და გინება: ყველაფერი ვიცით, სადაც იყავი, შენი დედაო... მანქანა ჩამომართვეს და ფეხით წამიყვანეს ინტერნატში, ეზოში რომ შემოვიყვანეს, „მხედრიონელები“ ალაფს შენობაში ეზიდებოდნენ, პირნიშნად გაეძარცვათ ოჯახები... ოთახში შემოვიყვანეს, სადაც მაგინებდნენ და შეურაცხყოფას მაყენებდნენ. ცოტა ხანში გამოჩნდა „ძველი ნაცინი“, მეგრული გვარის „მხედრიონელი“, რომელმაც მუქარით მითხრა: თქვი სიმართლე, სად იყავი, თორემ ჯაბა, რომელიც მაგინებდა ქუთაისიდან, დაგხვრეტს, იცოდე ვერ გადაურჩებიო. ხმა არ ამომიღია, უარისსი მოლოდინში ვიყავი. „მხედრიონელი“ გამოჩნდა, მაგრამ მალე ისევ შემობრუნდა და მეუბნება, რით დავიწყებო. კიდევ, კარგი, სხვებივით მთლად უგულვო არ ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე. ვუთხარი, თუ დახმარება გასურს, მთავარ ექიმს აცნობეთ, აქ რომ ვარ-მეთქი.

მეორე გავიგე, კომისია შექმნილა მახილატარიას (თავმჯდომარე), ზაურ გვასალიას, ორდენ მესხიას და რენო კვარაცხელიას შემადგენლობით. კომისია „წესრიგის დამცველებს“ უნდა დახმარებოდა ნალენჯისაში უკანონოს ალმოფხვის საქმეში.

ეს კაცი ჩვენი თანამშრომელია, დაჭრილების გადმოყვანაში გვეხმარებოდა, ყველას უნდა გავადაროთ, ამიტომ ასეთ მოქმედებას ნაღველიად არ იმსახურებს, — მიმართა მთავარმა

ექიმმა ქუთაისიდან დაბრუნებულ „დიდ დემოკრატს“. ჯაბამ მომბრუნათ: „აბა, მაჩვენე, რომელმა მოგაყვანა შეურაცხყოფა, რომ ახლაც შენს თვალწინ დავხვრიტო...“ მე, რომელი უნდა მეჩვენებინა, ან ვისზე დამედო ხელი?..

მოკლედ, იმ დღეს ზაურ გვასალიას, ორდენ მესხიამ და სხვებმა მისხსენს აშკარა განსაცდელისაგან. ამის გამო, ბევრჯერ გამოვხატე მადლიერება ამ ადამიანების მიმართ და ახლაც მსურს მადლობა მოვახსენო მათ!

იყო ასეთი შემთხვევა, როცა ვითარება თითქოს უკეთესობისკენ წავიდა, მაშინ მოხდა ასეთი ამბავი — მიმედ დაჭრეს მილიციის უფროსის მოადგილე გივი კვარაცხელია. პირდაპირ მე ჩავიყვანე იგი თბილისში, შხს-ს ჰოსპიტალში. მას გაუკეთდა ოპერაცია და სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

იყო მეორე შემთხვევაც. გასვენებაზე ვიყავი, მოულოდნელად ტყვიები გავარდა, შედეგად რეზო მოლაშვილი მძიმედ დაიჭრა. სისხლისაგან იცლებოდა კაცი, სასწრაფო გამოვიძახეთ. სანამ დახმარება მოვიდოდა, შევცადე როგორმე შემეჭრებინა სისხლენდა, რაც თითქმის მოახერხე...

ვახტანგ შელიამ საჭირო დახმარება აღმოუჩინა დაჭრილს და მერე რეზო საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ვახტანგმა მითხრა, შენი დახმარება რომ არა, ალბათ ვერ გადარჩებოდაო, მეორე დღეს რეზო მოლაშხია მე ჩავიყვანე თბილისში, მას იმ დღესვე გაუკეთდა ოპერაცია... უფალს ვთხოვ, ტრაგედიის დღეებში რაც ჩვენმა ნალენჯისამ გადაიტანა, არ განმეორებულიყო არასოდეს!

მარადიული დიდება და ნათელი სსონა იყოს იმ ვაჟკაცებისა, რომლებმაც უწყობაძირ დამთმეს ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე ნალენჯისის, თავიანთი კუთხის ღირსების დასაცავად!..

ჩაიწერა პაპარი ქაქაძიამ  
მაისი, 2012 წელი.

# თამაზ ფიფია — 70

## ხელსაპყრობიანი ჭეშმარიტი შემოქმედი



გუსტად მწიფი უკან, როცა თამაზ ფიფიას პირველი ლექსთა კრებული — „გულის მზე საქართველო“ გამოვიდა, მას პატარა რეცენზია მიუძღვნენ სათაურით — „გულის მზე საქართველო და მისი ავტორი“. აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა კიდევაც „მწერლის გაზეთში“.

მკითხველს ვთავაზობთ ამ წერილის შინაარსს: ყოველი პიროვნება თავისი შემოქმედებით, ცხოვრების წესით წერს თავის-სავე ბიოგრაფიას, მით უმეტეს, შემოქმედით — მწერალი და პოეტი. ამის თვალსაჩინო მაგალითად გვესახება ბატონი თამაზ ფიფია, რომელმაც კარგა ხანია დაიკვიდრა ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და პოეტის სახელი.

პოეტი და მწერალი აღმოჩნდა. თითზე ჩამოთვლება იმ შემოქმედთა გვარსახელები, რომლებიც მშობლიურ ხალხს დაუდგა გვერდით ამ ძნელბედობის ფაშს. ამ იშვიათ შემოქმედთა შორის დგას პოეტი და პუბლიცისტი თამაზ ფიფია.

ის, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების პირველი დღეებიდან იქ დგას, სადაც უნდა იდგეს — პატრიოტი და შემოქმედი. ამაღლებული, მგზნებარე მისი პუბლიცისტური, ლირიკული ლექსები ეპოქის მაჯისცემას ასახავს. „უსათუოდ ზედგამოჭრილია ამგვარი შეფასება თამაზ ფიფიას უანგარო ღვაწლისა. სამშობლო ქვეყანა, მისი ანწყო და მომავალი, — აი, მუდმივი საფიქრალი გულმგზნებარე პატრიოტისა. ამ კრებულში თითქმის ყველა ლექსი მამულზე, მის მომავალზე ფიქრს უკავშირდება. ამის უტყუარი გამოხატულება ასეთი სტრიქონებია:

„გულის მზე საქართველოა, მისი ზღვა, ველი, ქედები, ზეცა ოცნების ლელოა, გუმბათი — წრფელი

ვედრების...  
ღმერთთან ეს თხოვნა მაქვს მხოლოდ —

მტრისგან არ ვიყოთ ძლეული, ვნახო ღამაზი სამშობლო, ძლიერი, ღვთიერკურთხეული.“  
დასადასტურებლად იმისა, რომ საქართველოს არა მხოლოდ „გულის მზეა“ თამაზ ფიფიასთვის, არამედ სუნთქვაცაა მისი, რომ იგი აცისკროვნებს შემოქმედის არსებობას, — მისივე ლექსების სათაურებიდანაც კარგად ჩანს. აი, ზოგიერთი მათგანი: „საქართველო — შენი სამოთხე“, „საქართველოს რუკასთან“, მამულზე ფიქრში მორიალე აზრი დამძიმდა“, „სულზე ტკბილი აფხაზეთო“, „ვიცი სამშობლოს დასჭირდება“, „ქართველი დედის ვედრება ღვთისმშობლისადმი“, „მთელ საქართველოს დასჩხავის ყვავი“, „სამშობლოს უხდება ვაჟკაცთა თავგანწირვა“, „საქართველოში ქართველია დამცირებული“, „დავდგეთ სამშობლოს გადასარჩენად“, „სამშობლო არის ანთებული სულის სახატე“, „ჩემია ერთად სულ საქართველო“, „მტრები ახვევია საქართველოს“ და მრავალი სხვა.

თავისუფლების შეგრძნება ყველაზე ძალუმაღ მაინც 80-იანი წლებიდან გახდა თვალსაჩინო და დაუოკებელ სურვილად იქცა. ნანატრი თავისუფლებას მოპოვება ამგვარად წარმოუდგენია პოეტს:

„თავისუფლება — უდრეკთა

ნება და შემართული სულის ყივილი. თავისუფლება თუ ერს შერჩება გაუყურდება ყველა ტკივილი. მაგრამ დახეთ უბედურებას! ქართველი ერის ტკივილის გაყურებას კი არა, ერის დამხობა-განადგურებას გეგმავს ბოროტი ძალა. პოეტმა კარგად უნყის, რომ ქართველი ხალხის უბედურების სათავე ეროვნული ხელისუფლების დახმობაა. თამაზ ფიფიას ლექსების უმრავლესობა მხილება საუკუნის უდიდესი დანაშაულის ჩამდენი მოლაღატებისა, რომლებმაც საქართველოს თავს დაატყვევეს არნახული ჭირ-ვარამი და საშინელება.

სამშობლოს ბედუკუღმართობით გულშეძრული პოეტი წერს:

„ჟამი დაგვიდგა სისხლიანი, ცრემლით ნამული, თვალდახელშეა დამცრობილი გახდა მამული. იუდას კერძთა ჩანაფიქრი ამით სრულდება, ოცდაათ ვერცხლად იყიდება თავისუფლება!“

ნიგში შეტანილი ბევრი ლექსი იქცევა ყურადღებას თავისი შინაარსით, მხატვრული დონითა და უშუალოდ. მათ შორის გამოირჩევა „კოლხი ვარ“ და „მკითხველს“:

„კოლხი ვარ, კოლხი! — ნაღდი ქართველი, ეგრისის მიწამ ერთგულად მზარდა, ეს თავგანწირვა არ არის ძნელი, დე, ვიყო ცოტენ მამულის ბზართან...“

„სტროფებს აქ რომ თქვენ კითხულობთ და ეცნობით უცნობ მწერალს, გრძნობის არის კირითხურო, ვერ განუდგა ბედისწერას. დრო წრფელ სიტყვას ისე სთხოვდა, ლექსი ექცა ნანატრ ხვითოდ, და ყოველთვის რაც

ასოვდა — მხოლოდ საქართველო იყო!“  
წინამდებარე ნიგში მკითხველის ყურადღებას იპყრობს ნაწყვეტი პოემიდან „კოლხური რაფსოდია“ და ნადიმი ანუ „ქართული სადღეგრძელონი“.

მოგვიანებით 2008 წელს თამაზ ფიფიამ გამოცა უაღრესად შთამბეჭდავი ნიგნი სახელწოდებით — „თეთრი ბაღის ანგელოზი“.

გულახდილად ვამბობ, ჩვენდა გასახარად ნაღვნიხელი შემოქმედი, ბრწყინვალე მამულიშვილის თამაზ ფიფია ის პიროვნებაა, რომელმაც შექმნა ჩვენი სასიქადლო მამულიშვილი, უპოეტესი პოეტის ტერმინი გრანდის ზედმიწევნით შესაფერისი პოემა. ლოგიკურია, რომ ის ნაღვნიხელ კაცს უნდა გაეკეთებინა.

მე ადრეც ნამიკითხავს წინამდებარე პოემის ფრაგმენტები ხელნაწერის სახით, მაგრამ სულ სხვაა, როცა ღამაზი შრიფტით აწყობილ, პოლიგრაფიულად უნაკლოდ გაფორმებულ კრებულს იღებ ხელში.

ამ დიდებული პოემის ნაკითხვამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა იმაში, რომ თამაზ ფიფია ისე ღრმად და შეჭრილი პოეტის უჩვეულოდ უკიდევანო სულიერ სამყაროში, ისეთნაირად ეუფლება და მწეება გრანდისხელ ფილოსოფიურ შრეებს, მკითხველს ერთი შეხედვით ეგონება — ეს პოემა თავად ტერმინი გრანდელს შეექმნას.

თამაზ ფიფია თავის ამ მშვენიერ პოემაში მაღალმხატვრული ფერებით გადმოგვცემს პოეტის დაუოკებელ სურვილს, გულისტკივილს, ამასთან ერთად თამამად ამბობს თავის სათქმელსაც და ამაშია მისი გამარჯვებაც. აქვე ვამბობ, ამ შესანიშნავი პოემის მიხედვით მისი ავტორი თამაზ ფიფია დიახაც კონგენიალურია ტერმინი გრანდელისა.

თამაზ ფიფიას შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უკავია სატრფიალო ლირიკას. სამიჯნურო თემაზე სიყმანეილის წლებიდან მოყოლებული იმდენი ლექსი აქვს შექმნილი, რომ 2010 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოცა თამაზ ფიფიას 122 გვერდიანი ლექსთა კრებული — „მიჯნურის დღიურიდან“.

ამ კრებულის ავტორისეულ წინათქმებაში ვკითხულობთ:

„მიჯნურის დღიური“ გულის სიღრმიდან მომდინარე და უბის ნიგნაკებში წვეთ-წვეთობით ჩანრეტილი უტკბილესი ნექტრის სიყვარულის ანკარა წყაროდან იღებს სათავეს, — წარმოადგენს გულისწორის მშვენიერებით აღვრთვანებისა და მისადმი დაუოკებელი ლტოლვის სადიდებელს, — ნუგეშის, რწმენის, იმედგაცრუებისა და სინანულის ერთობლიობას, ჩახჩახასა და ფერმიმცხრალს აის-დაისის სხივთა სპექტრით, დროდარო განსაკუთრებულად გაღვივებულსა და მხურვალეს, ზოგჯერ დაზაფრულს უამინდობით, იგი უფრო ოცნებაა, ვიდრე რეალობა, — უფრო ციურია, ვიდრე მინიერი, მაგრამ ფესვებით ცხოვრებისეულ სინამდვილეს ეყრდნობა და ეხმინება...“

კრებული იხსნება ერთსტროფიანი ლექსით:

„აფრიალებს ქარი ზღაპრულ აფრას, ჯადოსნური ხმებით მხიბლავს არფა, გული ისეთ ზღვა სიყვარულს იტყვს, მე ეს განცდა მსურს გავანდო სიტყვებს.“

ნიგნი შედგება ორი ნაწილისაგან — „ლტოლვა“ და „იმედგაცრუების სევდა“ ამ ორ ნაწილს შორის მოქცეული ბევრი ლექსი უთუოდ მიიქცევა მკითხველთა ყურადღებას. კრებული მთავრდება პოემით — „თქმულა პირველ სიყვარულზე“.

ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის, რომ აღნიშნული ნიგნის მხატვრობა ეკუთვნის ნაღვნიხელ მხატვარს, ანგარდაცვილ ლავროს კონჯარას. ნიგნი მისი ნახატების გამოყენება მისივე სახელის უკვდავყოფადაა.

ცალკე თემაა თამაზ ფიფია, როგორც სახელგანთქმული პუბლიცისტი, რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე.

საქართველოსთვის ყველაზე უმძიმეს ფაშს თამაზ ფიფიას ინიციატივით და რედაქტორობით რაიონში კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ეგიდით გამოიცა გაზეთი — „ნაღვნიხის ზარები“.

აკადემიკოსი ბ-ნი ელიზბარ ჯაველიძე ნაღვნიხის ტრაგედიის მიტერვიოში სამართლიანად აღნიშნავდა: „პირველი, ვინც ადამალა ხმა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ, გახლდათ ირაკლი გოცირიძის გაზეთი „იბერია-სპექტრი“, შემდეგ გამოვიდა „საქართველოს სამრეკლო“, რომელიც ასევე დაუნდობლად ამხელდა ამ ბოროტებას. და მერე სწორედ ამ გაზეთებს ამოუდგა, გვერდი დაუმშვენა კიდევაც და შეიძლება მეტიც გააკეთა თავისი გამბედაობითა და ფაქტობრივი მასალების გამოქვეყნებით „ნაღვნიხის ზარებმა“, რომლის რედაქტორი ბრძანდება თამაზ ფიფია. ალბათ, პრესის ისტორიაში დაინერება ეს ყველაფერი და სათანადო შეფასება მიეცემა. ნაღვნიხის ტრაგედიამ წარმოშვა „ნაღვნიხის ზარები“, და ეს ტრაგედია იყო უმძიმესი. ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო ნაღვნიხის რაიონმა“.

სწორედ გაზეთი „ნაღვნიხის ზარები“ გახდა საფუძველი გამოცემულ იყო ნიგნი — მამხილებელი „ცოდვის კალო სამეგრელოში“.

თამაზ ფიფიას ამ ნიგნიდან მოისმის სამეგრელოს ასაკლებად „მხედრონელთა“ და სხვა სახის ბანდიტთა ტანკების გრუხუნითა და ზათით შემოჭირთების

გამაყრებელი, შემზარავი ხმა, შესაბამისად ისმის ძაძით მოსილ შვილდახოცილ, გამწარებულ დედათა გულსაკლავი კვნესა-ქვითინი.

ამ მართლაც სისხლითა და ცრემლით გაჯერებულ ნიგნი ნათლად სჩანს მისი ავტორის თამაზ ფიფიას მწერლური ოსტატობა, კოლოსალური შრომარუდუნება, პატრიოტიზმი, სამართლიანობა და გამბედაობა.

აღნიშნული ნიგნის პირველი ნაწილი 2007 წელს გამოიცა, ხოლო მერე ნაწილის გამოქვეყნება მადლიანი სპონსორის გამოჩენას ელოდება.

თამაზ ფიფიას დიდძალი მხატვრული და დოკუმენტური ხასიათის მასალები დიახაც მოლოდინშია პატრიოტი და გულიანი ადამიანებისა, სპონსორებისა, რამეთუ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მისი გამოუცემელი ნაწარმოებები ბევრად აღემატება გამოქვეყნებულს.

თამაზ ფიფიას აქვს მშვენიერი ლექსი სათაურით „მამის ნაჩუქარი კალამი“. ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და პოეტის, სულმნათი შოთა ფიფიას ვაჟი განუხრელად ერთგულია მამის ანდერძისა:

„სამშობლო ქვეყნის იყავ მუდამ ისე ერთგული, სულში ვერასდროს შეაღწიოს ბნელმა საღამომ, სჯობს უღიმღამოდ არსებობას, — დამინდეს გული, უნდა შეიძლო ერის ტკივილს მიეხალამო.“

თამაზ ფიფიამ მთელი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მამის ანდერძის პირნათლად შესრულებას მიუძღვნა. მიმდინარე წელი კი მისი საიუბილეო წელია, ასე რომ ჩვენი თამაზი, ეს მკლავმოუღლეი, ხელვაიანი შემოქმედი იუბილარია, — 8 ივლისს მას დაბადებიდან 70 წელი უსრულდება.

გულწრფელად ვულოცავ ჩემს უმცროს მეგობარს ამ ღირსსახოვარ თარიღს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, დიდ შემოქმედებით გამარჯვებას, მრავალჟამიერ ბედნიერ სიცოცხლეს ჩვენი დედასამშობლოს საკეთილდღეოდ!

### სიტყვის ჯაჰარი

#### თამაზ ფიფიასადმი

ჯავარიანობს შენეული სიტყვაც, ზნეობაც, — გაფორიქებს და გაშფოთებს ეშმას ზეობა.

ჭირისდღესავით გძულს გულმხდალი

და ქედდახრილი, შენი შუბია კალამი და შენი მახვილი...

გაზეთს თუ შურნალს შენი ფიქრის

კვალი აჩნია, — შენი ღვანლით და რუდუნებით ფრთებს შლის „აია“.

ისევ გებრძვიან სიმართლისთვის

ადრე ნაცხარს, — მარტო არა ხარ, მაგრამ ფიქრში

მარტოკაცი ხარ... მოგდგამს სიმხნევე და შემართება,

ზეგარდმო ნიჭი, — ფხააღესილი ხანჯალივით კალამი გიჭრის...

ლექსს, თუ მოთხრობას გულმხურვალედ


სულს ისე უდგამ, — დაე, ამგვარად შემართული

მენახე მუდამ!



# გორა ჯიქია (ლექსები)

\*\*\*



მამა — ჭიჭიკო ჯიქია დრო მიდის

მზე დაბლა ჩადის...  
 გმირთა მოედანს ამ დროს ასდის  
 ბენზინის სუნი.  
 ნიავე ლელავს,  
 წელზე, ყელზე ეხვევა ყველას.  
 ზოგს თმებს უჩეჩავს.  
 დრო მიდის, მიდის.  
 ნუთუ არასდროს განმეორდეს  
 ცხოვრება კაცის?  
 ნუთუ გაქრება!  
 აღიგავოს პირისგან მინის  
 ამ დედამინის შეხიზნულთა,  
 მდგმურთა ცხოვრება.  
 ვინ ემუქრება ადამიანს?  
 — ადამიანი!  
 მათი მიზეზით, ვისაც ხალხი  
 ფეხზე ჰკიდია,  
 ეს დედამინა და სიცოცხლე  
 ბენზე ჰკიდია.  
 თბილისი, 1980 წ.

## ოცნება შენზე

დალამდა. ვნეწარ. ნრუნუნა კვლავ  
 ფხაჭუნობს ჭერზე.  
 რა კარგი არის, რა ტკბილია  
 ოცნება შენზე.  
 ძილში თუ განახე, ღმერთს შევსთხოვ,  
 რომ არ გამეღვიძოს,  
 თუ არ მესიზმრე, მაშ რად მინდა,  
 რომ დამეძინოს.  
 შეგენირო მსურს, მე არ მყოფნის  
 შეგამყო ლექსით.  
 რომ მოგიტაცო, მე ის მინდა,  
 გატარო ეტლით.  
 ჩვეულებრივი, უშფოთველი  
 არ მსურს ცხოვრება.  
 სიბერე მინდა, თუ ნარსული  
 მომაგონდება.  
 ისე მსურს ყოფნა, როგორც ხოლმე  
 არის ზღაპრებში.  
 მინდა ვცხოვრობდე მარტოდმარტო  
 გაუვალ ტყეში.  
 ძრწოდეს ნადირი შიმშილისგან  
 გააფთრებული.  
 სასახლე გვედგას  
 სანთლის შუქით განათებული.  
 შენს დასაცავად მიხდებოდეს  
 დევებთან შებმა  
 და სილამაზე შენი არ მსურს  
 იხილონ სხვებმა.  
 ჩემი ბრძოლით მსურს,  
 მოვიპოვო მშვიდობა სულის  
 და აგაცდინო ყოველგვარი  
 ტკივილი გულის.  
 თბილისი, 1980 წ.

\*\*\*


მთანმინდის სავანე,  
 უკვდავთ ძვალთსაცავო,  
 შენს ზურგზე მეც ხომ  
 კიდევ ფეხი დამიდგია.  
 მწერალთა პანთეონო,  
 ჩვენო საამაყო,  
 იცოდე, რომ აკაკის  
 ნეშთი გაბარია!  
 მტკვარო მოდუღუნე,  
 შენ ტატოს შთაგონება,  
 ვინ იცის, თუ რამდენ  
 ქარცეცხლში გივლია.  
 ჩემო მინა-წყალო,  
 მსოფლიო საოცრებავ,  
 შენს გულში მე ნორჩი  
 ფესვები გამიდგია.  
 ლამაზო სამშობლოვ,  
 იმითაც საამაყო,  
 რომ კახი და დიდი ილია  
 გაგიზრდია.  
 რუსთაველის მშობელი ხარ,  
 ჩემო სათაყვანო,  
 ვამაყობ იმით რომ,  
 აქ ფეხი ამიდგია.  
 თბილისი, 1979 წ.

## ჩემო ოცნება

ოცნება ჩემო,  
 დავინყებას მიგეცი თითქოს.  
 ოცნება ჩემო,  
 შენზე თითქმის  
 აღარ ვფიქრობდი.  
 ტრფობამ აბარგვა დააპირა  
 და სწორედ იმ დროს  
 ელვარე თვალებს შევეფეთე,  
 რომ არ ველოდი.  
 შენმა შეხვედრამ განმიახლა  
 ჭრილობა ძველი  
 და, თავო ჩემო, ტვირთი არის  
 შენთვის დღე გრძელი.  
 ისევ უკან ამედევენა შენი ორული.  
 კვლავაც დავიარები მე  
 დარდმორეული.  
 თბილისი, 1980 წ.

## რად გამებუტე

რომ გამებუტე, შენ პატარა დედოფალო,  
 მითხარ, რად არი?  
 თვალს რომ მარიდებ, რომ დამინახავ,  
 ჩემო ყვავილო, რა მიზნით არი?  
 განა განყინე რამე ოდესმე თუნდ ცეროდენა,  
 მითხარ მართალი.  
 ფარსმანის ხმლისებრ რომ ელვარებდნენ  
 შენი თვალები, ახლა სად არი?  
 იქნებ ციმციმით მაგ თვალები  
 სულ სხვას უნათებს,  
 ჩემთვის არ არი.  
 რომ გამებუტე ამის მიზეზი, მითხარ,  
 ვინ არი, ვპოვო, სად არი?  
 თბილისი, 1978 წ.



გორა ჯიქია

## შავთვალეა შავ თაფალში

ჩემი თვალთ ანგელოზი დავინახე.  
 შავ თავალში შუქად იცქერს მისი სახე,  
 რად იმეტებს? რისთვის სცვივა მის შავ თვალებს,  
 ლოყაზე რომ ბრილიანტი უელვარებს?  
 ვისზე გლოვობს, რისთვის ტირის, ვის მისტირის?  
 ცრემლებს მისას ვის გულ-მკერდზე უწვიმია?  
 ნეტა იმას, ვის საფლავეზე ის მუხლს იყრის,  
 მისი ცრემლი მწუხარების ზემია.  
 1981 წ.

ცელქო გოგოვ, მხიარულო,  
 ნიავსავით საამურო,  
 რა იქნება, ჩემს გულისტქმას  
 ერთი წუთით მიაყურო.  
 1979 წ.

## ის კი არ ახსოვთ

ბავშვი არისო, — შენზე მეტყვიან  
 ირონიულად ამხანაგები.  
 ამას ამბობენ, ამკიდებიან:  
 ცამეტი წლისას რას ემართლები.  
 შო, ცამეტიო! მერე რა მოხდა?  
 სხვაობა მხოლოდ სამი წელია.  
 ის კი არ ახსოვთ მოხუც ტაბიძეს  
 შენი ხნის გოგო შეჰყვარებია.  
 ვისხენებ ახლა პოეტის სიტყვებს,  
 აჰა, ნაწილი — იმ ლექსის თავი:  
 „ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა  
 ჭალარა გულის ზმანება ავი“.  
 ჩემი ზმანება — ეს ხომ შენა ხარ,  
 ჩემი ლექსების ბოლოც და თავიც.  
 1978 წ.



დედა — თამარ შერაზადიშვილი

\*\*\*

რკინიგზაზე მიაბოტებს თხა,  
 თავი სანყალს ელმავალი ჰგონია.  
 აღარ ესმის, მატარებლის ხმა  
 საცოდავი! ეს რა ბედი ჰქონია!  
 ფრთა ესხმება ჭიანჭველას,  
 თავი ჩიტი ჰგონია.  
 აფრინდა და... ტყაპ ნუმუმეში,  
 ეს რა ბედი ჰქონია!  
 ლექსებს რომ ვწერ, მიხარია,  
 პოეტი ვარ, მგონია.  
 ვინც კითხულობს, გიჟადა მთვლის,  
 ეს რა ბედი მქონია?

## შავთვალა ასულს

შავი თვალები ფიქრებიდან ვერ გამიფრინდა,  
 შენი ტურების სიტკბო ვიგრძნო, ეჰ, როგორ მინდა!  
 ჩემს ოცნებებზე ანგელოზი შენს სახეს ქარგავს.  
 სიგიჟე კია, მაგრამ არა, სიყვარულს არ ჰგავს.  
 შმაგს დამიყვავებს, მიგალობებს ტურფა ფერია.  
 ჩემი ოცნება ცის კი არა ნაცრის ფერია.  
 არ მომდგამს ნიჭი ფერხულში რომ ფეხი ავიწყო.  
 მიფრთხის აზრები — ჩემი ვნების ახსნა დავინყო.  
 იძებნე! ლოყაზე გადნებიან ჩემი ტურები.  
 გეალრესები ოცნებაში და ვიყურები.  
 შავთვალა ასულს ფიქრი დასდევს, ოცნება არ თმობს.  
 ღმერთო, მიშველე! ჩემი ტანჯვა ნუთუ შენც გართობს.  
 30 აგვისტო, 1981 წ.  
 ქ. ლებედინი.



მეუღლე — სვეტლანა პლიუშკო შვილიშვილთან ქრისტიანე ფიფასთან ერთად

## წვეთი წვეთს

წვეთი წვეთს — ასხმული მძივებდად,  
 ოხ, ხო, ხო, რა ავი დარია!  
 თვალი თვალს — ერთ ხის ქვეშ ხიზნებდად...  
 ჩვენი მფარველი ჭადარია.  
 ცრემლია ლოყაზე? გიხდება.  
 ნუ კრთიხარ, ვერაფერ მიხვდება.  
 სად მიხვალ, ვერ ხედავ, წვიმია!  
 შენს გარდა ქუჩაში ვინაა!  
 კაბა ტანს აკვრია, მაჟროლოებს.  
 წვეთებმა ძვალ-რბილში გაჟონეს.  
 წვეთი წვეთს შენს მკერდზე მძივებდად ასხმული,  
 გვნათლავენ გიჟებდად, ტრფობით ვართ გართული.  
 1981 წ.

## 15 მარტი

დღეს გაზაფხული ხვდებაო ზამთარს,  
 მარტი თითისტარს მწვანე ძაფს ართავს.  
 თქვენში თუ უკვე ამოდის ია,  
 ჩვენში ფიფქები არ დაილია.  
 მარტს თებერვალი გაულებს კარებს,  
 მის სადღეგრძელოს ერთ ჭიქას დალევს.  
 ტრიალ მინდორზე სქელი ნისლია,  
 სული და გული ბოდმით გვივსია.  
 ბიჭები ველად აფრთხობენ ყვავებს.  
 სადაც ყარს ყველა, ყვავებს რა დალევს.  
 მიდის ზამთარი, მიაქვს კვერთხი, ნაბადი რჩება,  
 გუდას თავს უხსნის გაზაფხული ცისფერთვალეა.  
 მიდის... შემოდის... მეცხრამეტედ გაზაფხულს ვხვდები.  
 მიდის ზამთარი... მეცხრამეტედ ვემშვიდობები...  
 15. III. 1982 წ.  
 ქ. ჩუგუევი.

## ხარ შხამიანი

ლამაზ სხეულში უშნო სული ჩასაფრებულა,  
 მცინარე სახე შავ სატანას დაჰმონებია.  
 ტურფა ბაგეში სანამლაგი დამზადებულა,  
 და საკოცნელად ემბაკები დაჰკონებია.  
 მოვტყუედი კვლავაც, რომ მეგონე ადამიანი,  
 სიტკბოს ველოდი, ახლა ვხვდები — ხარ შხამიანი.  
 სატრფოდ გიგულე, ხელში შემრჩი მხოლოდ ავსული  
 უკულმართობის მწვერვალზე ხარ, ბრიყვო, ასული.  
 თბილისი, 1978 წ.



გორას ქალიშვილი — მარგარიტა ჯიქია პატარა ქრისტიანესთან ერთად

## ვიწამე

არა, არ ვიბრძვი სიმშვიდისათვის, გამორჩენისთვის,  
 არა, არ ვიბრძვი მხოლოდ თავის გამორჩენისთვის.  
 არ ვიცი მე ის, მომავალში რა მიწერია,  
 ვინამე ლექსი და პირფვარი დამინერია.  
 მოვედი ქვეყნად, არ დავწყველე ჩემი გაჩენა,  
 ახლა შენთან ვარ, ხელოვნება, აქ მსურს დარჩენა.  
 თუ შენად მიცან, მწვერვალამდე უნდა ვიარო,  
 ცამი ვარსკვლავებს შევეურთდე, იქ ვეზიარო.  
 12.III.81 წ.

\*\*\*

მადლოაბს ვუხდით გორა ჯიქია დედას — ქალბატონ თამარ შერაზადიშვილს ლექსებისა და სურათების მონოდებისათვის.

## ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი ძაძაძია

„ნოჯიხურის“ მისამართი: ნალენჯიხა — ობუჯი  
 ლეო ქიაჩელის №36. ტელ: 790 16-96-22; 790 87 83 94  
 გამომცემი 2005 წლის ოქტომბრიდან

ანყობა და დაკაბადონება — თეა მიშველია  
 ტელ: 555 49-22-07